

მაყურებინეთ ყველა ქართული ტელეარხი!
დააკანონე must-carry!

ეს შეგახებებ

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 ივნისი, 2012 წელი.

№111 (6987)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვები სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუბთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ცოცხალი ივანიშვილი ნაცებს ძალიან ალიზიანებს!

3

რა ახლოა დუშეთიდან ვაშინგტონამდე!..

4

ხელისუფალთ პირდაპირ მიანიშნებს, არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში ვენდეტა არ გელითო

5

თქვენს კაკალს მიხედეთ, თქვე სხვათა ბაბის ამჩხრიალებელნო!

2

რაო, ბატონო მიხეილ, თქვენი დაპირება მხოლოდ დაპირებაა, სხვათა დაპირება კი – უთუოდ მოსყიდვა?

სარედაქციო ფოსტიდან

მიშას კაკო ბობოხიძე თბილისელებს ვერ თვლის, ქუთაისლებს კი ვერ ცნობს...

მონობა ისევე სხვადასხვანაირია, როგორც ყველაფერი ამ ცოდვილ ქვეყანაზე. რაც მთავარია, თავისი გუნებითა და არსით არ შეცვლილა. მონის უპირველესი მოვალეობა, თუკი ჯერ გაბაზატებას და მერე ჯილდოდ დასაწინაურებელ ხელის წამოკვრასაც ელოდება, თავისი ბატონის თვალებში ცქერა და უსიტყვო ერთგულებაა. თანაც დროდადრო უნდა დაანახვოს, თუ რა თავგადაკლულად ემსახურება და რა დაუნდობელია ყველას მიმართ, ვინც ბატონს უგინებს... ერთი სიტყვით, ზუსტად იცის, შესწავლილი აქვს, რა სიამოვნებს და რა ადგალას უფრო ელიტუნება მბრძანებელს.

ჩემი აზრით, თანამედროვე მონის კლასიკური სახეა ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ საქართველოსთან ერთად მარადიულ დეპუტატად „დაგადებული“ ჩვენებური აკაკი გოგოხიძე, რომელიც აგერ უკვე ოცი წელიწადი მუდმივ შეტევაზე გადასული ნაირ-ნაირად მოგვიწოდებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარისოდ, ხოლო გოლო თითქმის ცხრა წელიწადი, „სამშობლოსათვის, სააკაშვილისთვისო!“ გაჰყვირის, სამშობლოს, რასაკვირველია, ჩვენი ყურის მოსატყუებლად ურთავს, რადგან იცის, რომ მარტო „სააკაშვილისთვისო“ მთლად დამაჯერებელი ვერ იქნება. თანაც, სააკაშვილამდე კი მოვიდა, მაგრამ, თავისდა სავალალოდ, სააკაშვილის შემდეგ თავის ადგილს მაინცდამაინც ვერა ხედავს და ამიტომ ფუნდამენტალისტი ტერორისტივით მთლიანად იხარჯება, ყველაფერზე მიდის: არც მუშტს ერიდება, არც წიხლს, არც შეფურთხებას, არც წახრჩობას და, რაც მთავარია, ცილისწამებისა და ცრუსიტყვაობის აშკარა დიდოსტატად ჩამოყალიბდა. მადლობა ღმერთს, რომ თავისი ხელისუფლებას ჩაბღაუჭებული გიჟმაჟი ბატონის იმედით კიდევ უარესს არ გვიშვრება!..

ღმერთს იმისთვისაც მადლობა, რომ პრეზიდენტის სულში ჩამძვრალი ამ მონა-დემაგოგის ავანჩავანი დღეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა. აბა, დემაგოგის გარდა, ვის შეეძლო იმის თქმა, რომ 27 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, 100 ათასი კი არა, მხოლოდ 30 ათასი კაცი მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად, ხოლო 10 ივნისს ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე, ქუთაისლები კი არა,

სულ სხვა ხალხი მდგარა, ალბათ, სხვა პლანეტელები. ესე იგი, ქუთაისლებს მხარი არ დაუჭერიათ თავიანთი ხვალინდელი უკეთესი ცხოვრებისთვის.

მე ხონელი კაცი ვარ, ბატონებო, და მიკვირს, რა ღმერთი გაუწყრა ამ ჩვენებურ კაკოია გოგოხიძეს, რომ კარგი, ქუთაისლები ვერ იცნო, ვერ იცნო, ხონელმა კაცმა, ხონელები მაინც რატომ ვერ შეგვამჩნია?!..

თუმცა, რა დიდი გამოცნობა ამას უნდა? ყოველთვის ასე იყო, ასე არის და კვლავაც ასე იქნება, თუ ცხოვრებას მონური თვალებით ვუცქერით და მონოგითვე საშვილიშვილოდ ვართ აშენებულ-გამდიდრებულნი...

შოთა კაკაბაძე,
ქ. ხონი.

◎ ჩემი შენ გითხარიო?!

თქვენს კაკალს მიხედეთ, თქვე სხვათა ბამბის აჩჩრიალებელნო!

რაო, ბატონო მიხეილ, თქვენი დაპირება მხოლოდ დაპირებაა, სხვათა დაპირება კი – უთუოდ მოსყიდვა?



პირდაპირ უნდა გითხრათ, ბატონო პრეზიდენტო — ამ ბოლო დროს შემოქმედებითი ფანტაზიაც აშკარად გღალატობთ და სამიზნესაც გვარიანად აცილებთ. ზოგჯერ კი ისეთ რაღაცეებს აკეთებთ, თეთრი ძაფით გაკერილ შავ სატინაზე მეტადაც რომ „ყვირის“.

აი, თუნდაც გუშინწინ ოზურგეთში რომ შეხვდით სტუდენტებს, ახალგაზრდეგის ამგვარად გამორჩევა-დაპირისპირება ვარგა?

კარგი, ვიცით, რომ, ყველასთვის კარგად ცნობილი და გასაგები მიზეზების გამო, ვერც თბილისს იტანთ, არც „მოლალატე“ თბილისელები გეხატებათ გულზე და, ცხადია, არც ჯერაც დედაქალაქად მიჩნეული ამ ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მოგდით თვალში, მაგრამ **მაინცდამაინც ზემო აცანის ტექნოლოგიური, ბახმაროს სამედიცინო და ნატანების ტექნიკური უნივერსიტეტის** სტუდენტებს რომ შეხვდით, გათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა თუ თელავში მაინც არ სჯობდა იქაურ სტუდენტ ახალგაზრდებთან შეხვედრა?

უკბილოდ ვლადაოზ? კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ რასაც ამ ბოლო ხანს ჩვენი ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი აკეთებენ, ამ მხრივ ვითომ უმაღლესი ხარისხის პილოტაჟია?

ოზურგეთში რომ შეყარა ეს რამდენიმე ათეული სტუდენტი, რომელი საუნივერსიტეტო ცენტრი გურიაა?

ხომ ყველაფრით ჩანს და იგრძნობა, რომ პრეზიდენტმა ეს ერთადერთი მიზნით გააკეთა — **რაკი „ქართულ ოცნებას“ გადაწყვეტილი აქვს, 17 ივნისს სწორედ ოზურგეთში ჩაატაროს თავისი მორიგი მრავალათეულათასიანი მიტინგი, მასზე ადრე ჩასულიყო იქ და დაერიგებინა დაპირებები?**

და სწორედ აქ მივადექი ჩემს მთავარ სათქმელს!

უფალო პრეზიდენტო და ძალაუფლებავ (და არა ხელისუფლებავ!), საკუთარ, მართალია ჭიან, მაგრამ მაინც კაკალს ბამბას რომ უფენთ და, სხვის ბამბას კი აჩჩრიალებთ, რაო ბნელა? მართალია, ქართველობა კი დაამშიეთ, მაგრამ მაინც ვინ ჭამს ამას?

სტუდენტებს რომ ჰპირდებით, ამ ბარათით ამდენ-პროცენტიან შელავათს მიიღებთ, ამას და ამას ამდენად იაფად შეიძენთო და სხვა, ეს წინასაარჩევნო მოსყიდვა არ არის?

მართალია, თქვენი არც ერთი უკბილო დაპირება (თუნდაც კბილების პროტეზირება-ჰოლივუდური ღიმილისა არ იყოს ჯერხნობით დანაპირებს არ გასცილებია და საძედ არ ქცეულა, მაგრამ პოტენციურ ამომრჩევლებზე ხომ მოქმედებს?

მართალია, როგორც ვთქვი, ამას ახლა უკვე არავინ ჭამს და ამის გამო არც ხმას მოგცემთ ვინმე, მაგრამ ხომ ამბობთ?

ხოლო რაკი ამბობთ, სად არის სმენა და მზერაგამახვილებული მოგელაძე?

იგი ასეთი „სიყრუე-სიბრმავისთვის“ არჩევნების შემდეგ, ალბათ, ახალ ჯილდო-ეპოლეტებსაც ელოდება, მაგრამ ვინც იცის, რა მოგელის, მოგელაძევ, სოფელი ხომ ბინდისფერია და საწუთოროც ვის საით გააქანებს, უფალმაღა იცის!

ამრჩევ გამრჩევლიძე

◎ გარემო

ტყეში მხოლოდ ნაჯახით შედიან!..

„წლის საპატიო მჩეხავის“ ტიტული ალექსანდრე ხეთაგურს ერგო

ერთი წლის წინათ გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი — 1 961 098 ჰა საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვაში გადავიდა. ამავე სამინისტროს გადაწყვეტილებით ტყეები გრძელვადიანი (49-წლიანი) იჯარით გაიცემა, რითაც საქართველოს ეკოსისტემას უდიდესი საფრთხე დაემუქრა, რადგან მესაკუთრეს შეუძლია კუთვნილ ფართობზე რაც უნდა ის გააკეთოს, დაზიანოს გარემო, პასუხს კი ვერავინ მოთხოვს, რადგან ხელისუფლებას იჯარით გაცემულ ფართობზე არანაირი კონტროლის მექანიზმი არ აქვს შემუშავებული.

აი, შედეგიც: ბოლო ერთი წლის მანძილზე უკანონოდ მოიჭრა 224,574 კუბური მეტრის ხე.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა“ ირონიული იუმორით უპასუხა ეკოსისტემის მოშლას და დაიწყო ნომინაცია „წლის საპატიო მჩეხველი“, ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა პირველი გამარჯვებული: გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს, თბილისის მერ გიგი უგულავასა და ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს შორის პირველობა არავის დაუთმო ალექსანდრე ხეთაგურმა და „წლის საპატიო მჩეხველის“ დიპლომის მფლობელი გახდა.

ნიკოლოზ მჟავანაძემ ჟურნალისტებს წარუდგინა მიმდინარე წლის მანძილზე ტყის უკანონო ჭრის სტატისტიკა კუბური მეტრის მიხედვით: თბილისი — 20.000, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა — 29.000; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 39.585; შიდა ქართლი — 7.000; მცხეთა-მთიანეთი — 30.000; კახეთი — 20.000; ქვემო ქართლი — 8.000; სამცხე-ჯავახეთი — 37.000; გურია — 10.989; იმერეთი — 9 000; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 14.000.

— ტყეებში არსებული კატასტროფული სიტუაცია იმ არაპროფესიული დაუდევარი მიდგომის შედეგია, რომელსაც ხეთაგურის უწყება იჩენს სატყეო სექტორის მიმართ, მიზეზი შეიძლება რამდენიმე კომპონენტად დავყოთ: ტყის მასივებს 481 რეინჯერი იცავს, ანუ თითო მცველს უწევს 4 158 ჰექტარი ტყის მასივის დაცვა, რაც არარაციონალური მიდგომაა.

ტყის მცველს არ აქვს არანაირი ტექნიკური აღჭურვილობა და არც იარაღი, რათა დაიცვან ტყე. არ კონტროლდება იჯარით გაცემული ტყის მასივში არსებული მდგომარეობა, კანონით დაშვებული ჭრების გარდა, ხდება უკანონო ჭრები. არ ჩატარებულა და არც ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ტყეების გრძელვადიანი იჯარა თუ არ გაუქმდა, რთულ სიტუაციას მივიღებთ, — განაცხადა „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

„საპატიო დიპლომი“ ენერგეტიკისა და გუნებრივი რესურსების მინისტრს დაზღვეული წერილის სახით გადაეგზავნა პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით იგი უახლოეს დღეებში აპირებს „წლის საპატიო მჩეხველის“ წინააღმდეგ პროკურატურას მიმართოს.

გულნაზ გახარია

◎ სარედაქციო ფოსტიდან

აი დედასა, მაშ ზარმაცები ვყოფილვართ?!

რასაც თავისი თვალით უყურებს და ვერ ხედავს თუ არ იმჩნევს, იგი „შპარგალკით“ დაინახავს?

პატივცემულო რედაქცია, ის, **რაზეც ახლა მინდა მოგითხროთ, დიდი ხანია მაწუხებს, მაგრამ კალამი მაინც თქვენი გაზეთის ბოლოდროინდელმა ორმა პუბლიკაციამ ამაღებინა.**

ერთი აგერ ახლა, 9 ივნისის ნომერში წავიკითხე — ნაციონალები ჯარის უკვე მიწაშიც ეძებენო და გასულ საუკუნეში კომუნისტების მიერ ჩაყრილ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემების უზარმაზარ მილებს თხრიან, რათა მილიონობით ლარის სალირალში თუნდაც ათასები მიიღონო.

ვაი, უპატრონობით გაპარტახებულო სოფელო! გვალვა მოსავალს გვინადგურებდეს და ესენი კიდევ თითქმის მზა სარწყავ სისტემებს ანადგურებდნენ?!

ხსნის გზაც რომ თითქმის არსაით ჩანს?

თუმცა, გულშემატკივარი ხელისუფალი იყოს, თორემ როგორ არ ჩანს?

აი, თუნდაც ის რომ გაკეთდეს, რაზეც თქვენი გაზეთის 8 ივნისის ნომერში საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი თანხმები წერილის ავტორს, **გლეხიც ამოისუნთქავს და სოფელიც — მარტო ქალაქის კი არა, ქვეყნის მარჩენალი.**

თორემ რა გამოდის? უსახსრო-უსასოო გლეხი მიწას ვერ ამუშავებს, ესენი კი, ცუდი დედინაცვლის მაგვარ ხელისუფლებაზე ვამბობ, იმის ნაცვლად, რომ მას მიეხმარონ, — ჩვენი გლეხი ზარმაცია, მუშაობა არც იცის და არცა სურს, ჰოდა, ბურეები უნდა ჩამოვიყვანოთ აფრიკიდან, რათა კიტრისა და პამიდვრის მოყვანა მაინც ასწავლონ აქაურობასო!

ამაზე მეტი დაცინვა და საქმის მტრობა იქნება?

ასეთი მთავრობა კი არა, თამაზ ძვლივიძისნაირი მოაზროვნე და სოფლის გულშემატკივარი ადამიანები გვჭირდება, მათი პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებული წინადადებებისთვის ყურის დაგდება-გაზიარება გვჭირდება, ხალხო!

ამას ჩემი სოფლის გამოცდილებითაც ვამბობ.

ერთი სათხოვარიცა მაქვს — ვიცი, მთლად გამართულად ვერ

თამაზ ძვლივიძე წერს თავის მასალაში **„ღია წერილი-„შპარგალკა“ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს“,** ვითარება საოცრად სასიკეთოდ შეიცვლება: ის ათი ათასი ლარი თუ გლეხს სესხად მიეცემა და, მით უფრო, მისი ნატურით გასტუმრების შანსიც ექნება, სავსებით ვეგადმოგეცით ჩემი სათქმელი, მაგრამ, იმედი მაქვს, არ დამზარდებით და „გამიკეთილშობილებთ“ ნაწერს, რათა ჩემი გულის ტკივილი ხალხამდე გასაგებად მივიდეს.

გელა შატაიძე,
კასპის რაიონი, სოფელი ნოსტე.

◎ უკანონობა

ხალხის დაშინება გრძელდება

„ფონდი ქომაგის“ ინფორმაციით — **„9 ივნისს დაიწყო იმ მოქალაქეთა მასობრივი დაბარება, რომლებმაც „ფონდ ქომაგს“ დახმარებისთვის მიმართეს. მათი გადაყვანა მოდულის შენობაში მოხდა უწყების ჩაბარებისთანავე მუქარით და იძულებით. ამასთანავე, უწყებაში არ ყოფილა მითითებული მოტივი, თუ რასთან დაკავშირებით უნდა მომხდარიყო მათი დაკითხვა.** მოქალაქეებს არ მიეცათ ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა. დაკითხვა მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, უწყვეტად, ზოგ შემთხვევაში 10 საათის განმავლობაში. ეს ადამიანები და მათი ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ გაურკვეველ და სტრესულ სიტუაციაში. დაკითხვის დროს ხდებოდა პროვოკაციული კითხვების დასმა, რაც მიმართული იყო „ფონდი „ქომაგის“ დისკრედიტაციისკენ. შემაშფოთებელია ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს ამ ადამიანების არც ასაკი და არც ჯანმრთელობის მდგომარეობა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა, ერთ-ერთი მოქალაქე დასაკითხად მოდულის შენობაში გადაყვანილი იქნა საავადმყოფოდან.

„ფონდი ქომაგი“ მიმართავს: სახალხო დამცველს, არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებსა და მედიასაშუალებებს და აცხადებს, **„მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების ეს ქმედებები ემსახურება ხალხის დაშინებას“.**

ინტერპრესნიუსი

◎ ფრთხილად!

ცოცხალი ივანიშვილი ნაცებს ძალიან აღიზიანებს!

10 ივნისს ქუთაისში „ქართული ოცნების“ აქციაზე ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის არყოფნას სახელისუფლებო მედია-საშუალებებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი და ამის მრავალი მიზეზიც შემოგვთავაზეს. თავად ეკატერინე ხვედელიძემ 9 ივნისს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანის გადაცემაში სტუმრობისას პირდაპირ თქვა, რომ „ქართული ოცნების“ აქციაზე ქუთაისში წასვლას არ აპირებდა და ამგვარი გადაწყვეტილება უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე მიიღო. კერძოდ, ხვედელიძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს რომ რამე დაემართოს, მის დაწყებულ საქმეს მისი მეუღლე უნდა ჩაუდგეს სათავეში და ბოლომდე მიიყვანოს. ხვედელიძის თქმით, 27 მაისის აქციის შემდეგ ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ ძალა დაინახა, რამაც მას შიში გაუღვივა და შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან ივანიშვილის მიმართ წამოსული საფრთხეც გაიზარდა. სწორედ ამით ახსნა ეკატერინე ხვედელიძემ ის ფაქტი, რომ 10 ივნისის აქციაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

10 ივნისს ქუთაისის აქციაზე სცენის წინ სპეციალური დაჯავშნული მინა იყო დამონტაჟებული, რომელიც სცენაზე მყოფებს ხალხიდან მომავალი საფრთხისგან იცავს. ამასთანავე, აქციის გასაშუქებლად მისულ ჟურნალისტებს მუშაობა გარკვეული შეზღუდვებით მოუწიათ. კერძოდ, ჟურნალისტები აღშფოთებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ აქციის დროს შემაღლებული სცენიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით რკინის ბარიერი იყო აღმართული, რომლის იქითაც მხოლოდ ტელეკომპანიების, „მეცხრე არხის“ და „მაესტროს“, აგრეთვე სააგენტო „ინფო-9“-ს ჟურნალისტებს შეეძლოთ გადაადგილება. აქციაზე მომხდარ ინციდენტს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერი, მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა. მან ჟურნალისტებს გოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ აქციაზე ყველა ჟურნალისტისთვის თანაბარი სამუშაო პირობები არ იყო შექმნილი, თუმცა ხარვეზი გამოსწორდება და მომავალ აქციებზე მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

ფანჯიკიძის განმარტებით, მისთვის უცნობია ვინ მიიღო ჟურნალისტების მუშაობის აკრძალვის გადაწყვეტილება, თუმცა ამბობს, რომ ეს სპონტანურად მოხდა და უსაფრთხოების ზომების გამო გახდა აუცილებელი.

შეგახსენებთ, თბილისში 27 მაისის აქციის დროს უსაფრთხოების ამგვარი ზომები მიღებული არ იყო. გამოდის, რომ ამ დღის შემდეგ ზოგადად საფრთხე გაიზარდა, ან შესაძლოა „ქართულ ოცნებაში“ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილზე შესაძლო თავდასხმის თემა პირველად ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ გააჟღერა. მისი განცხადებით, სანდო წყაროსგან აქვს ინფორმაცია, რომ რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, შესაძლოა, ივანიშვილზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდეს. ამ თემაზე საინტერესო განცხადება გაკეთა აგრეთვე უშიშროების მინისტრის ყოფილმა მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელმაც **for.ge**-სთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოში არის პარანოიდული და კრიმინალური ხელისუფლება, რომელიც ახლა აგრესიაშია და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. შესაბამისად, ძალაუფლების დაკარგვის პანიკური შიში ხელისუფლებას აიძულებს, მიმართოს ყველა იმ კრიმინალურ გზას, რომელიც მას ამ საფრთხეს აარიდებს.

ნაცვლიშვილის თქმით, სააკაშვილისთვის მთავარი გამოწვევა არის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი და შესაბამისად, მისი პოლიტიკური თუ ფიზიკური ჩამოშორება ამ ხელისუფლებისგან და პირადად სააკაშვილისგან, გადაუდებელი ამოცანაა. ყველაფერ ამის გათვალისწინებით ლაშა ნაცვლიშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმა მუშავდება. თუმცა, უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანი ფიქრობს, რომ ეს არ იქნება შეფარული მეთოდით ადამიანის ლიკვიდაცია.

„ასეთი გადაწყვეტილების არსებობაში მე ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამ სახის სპეციალური ღონისძიების მარილი იქნება ის, რომ მკვლელი უნდა იქნეს ლიკვიდირებული, ან მინიმუმ დაპატიმრებული მაინც. საქმე უნდა იყოს გახსნილი, ანუ საბრალდებო სკამზე მიხეილ სააკაშვილის მაგივრად, ვინმე უნდა დაჯდეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ადამიანები მათ შერჩეული ჰყავთ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მათ უსაფრთხოების გარანტიებს აძლევენ, რომ დაიჭერენ, მაგრამ შემდეგ გამოუშვებენ. თუკი ბიძინა ივანიშვილის მაღალკვალიფიციური დაცვა ასეთი ადამიანის გაუვნებელყოფას მოახდენს, არ არის გამორიცხული ისიც, რომ იყოს სარეზერვო ვარიანტიც, ანუ მეორე პიროვნება, რომელიც დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს“, — ამბობს ლაშა ნაცვლიშვილი.

მისი თქმით, ხალხმრავალი ადგილი ამ მხრივ სახიფათოა, მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკური აქტივობა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. ამიტომ, ლაშა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ხელისუფლებამ ამგვარი ხალხმრავალი ადგილი და ბიძინა ივანიშვილზე „განაწყენებული“ ოდიოზური ფიგურა შეარჩიოს, რომელიც ხელისუფლების ნებას აღასრულებს. შემდეგ კი, მოხდება ამ ადამიანის გასამართლება, რათა ხელისუფლებას ჰქონდეს ალიბი, რომ ის არაფერ შუაშია და უფრო მეტიც, მან ამხილა და დასაჯა მკვლელი.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე **for.ge**-სთან საუბარში ამბობს, რომ მართალია კონკრეტული ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ პირადად მას არ აქვს, მაგრამ 27 მაისის შემდეგ გაზრდილ საფრთხეზე და ზოგადად ხელისუფლების უკონტროლო მოქმედებებზე საუბრობს.

„ხელისუფლების მოქმედებები, რასაც ის არის დაჩვეული, ანუ პოლიტიკურ ოპონენტებს როგორც უსწორდება, რა თქმა უნდა, სიფრთხილის საფუძველს ქმნის. ამიტომ, არაფერია იმაში გასკვირი, რომ ბატონი ბიძინას უსაფრთხოების ზომები გაძლიერდა. 27 მაისის შემდეგ საფრთხე, რა თქმა უნდა, გაზრდილია, რადგან ეს დღე იყო იმის დემონსტრირება, რომ ჩვენ არ ვართ ცოტანი, ანუ ჩვენი მხარდამჭერები ძალიან ბევრნი არიან. ცხადი გახდა, რომ სააკაშვილს თბილისში არჩევნების მოგება არ ძალუძს და ხელისუფლებამ ეს დაინახა, 10 ივნისს კი დაინახა ქუთაისმაც. თითოეულ რეგიონში ჩვენს მიერ ჩატარებული აქციები სწორედ ამის დემონსტრირება იქნება. ხელისუფლება 27-ში ამდენ ხალხს არ ელოდა და ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ დღის შემდეგ შეიძლება მათი ბოროტული გეგმები უფრო დაიხვეწოს. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, რომ მთავარია ხალხის არჩევანი, ანუ ის, თუ ვის უჭერს მხარს ქართველი ხალხი და ამას წინ ვერაფერი დაუდგება“, — განაცხადა მანანა კობახიძემ **for.ge**-სთან საუბარში.

„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ კი ჩვენს კითხვაზე, რატომ გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები 27 მაისის შემდეგ, განმარტა, რომ პირადად იგი ამის შესახებ საქმის კურსში არ არის, მაგრამ ვინაიდან აქციის საორგანიზაციო კომიტეტმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, შესაძლოა, რაიმე კონკრეტული ინფორმაცია საფრთხის შესახებ მართლაც არსებობს.

ნინო ულენტი

◎ ინფორმაცია

თუ მოგწყურდათ, იქანავეთო, ბრძანა პრეზიდენტმა

საქართველოს პრეზიდენტის ინიცირებულ სოფლის პროგრამის ფარგლებში კასპის რაიონის სოფელ რკონში მცხოვრებ მოხუცებს საქანელები დაუყენეს. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი წერს.



კასპის რაიონის სოფელ რკონში ორი მარტოხელა მოხუცი — ნინა ბერძენი და მარიამ ჩოხელი სხვადასხვა სახლებში ცხოვრობენ. რკონში, სადაც ზამთარი დიდხანს გრძელდება და მთიან ზონაში მდებარეობს, მათ სასმელი წყლის მოზიდვა შორი მანძილიდან უწევთ.

ცენტრის ცნობით, სოფლის პროგრამის შესახებ მოხუცებმა, მხოლოდ, ის იციან, რომ იმ თანხით საცხოვრებელი სახლის წინ საქანელები ჩამოკიდეს, თუმცა სასმელი წყლის რეაბილიტაცია უფრო გაახარებდათ.

სოფლის რწმუნებულმა გიორგი სალხინაშვილმა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს სატელეფონო საუბრისას განუცხადა, რომ სოფელს წელს დაახლოებით 2200 ლარი გამოეყო.

— მცხოვრებლები ითხოვდნენ სასმელი წყლის რეაბილიტაციას, თუმცა თანხა არასაკმარისი იყო და ამიტომ სპორტული კომპლექსი ვარჩიეთ, — განაცხადა სალხინაშვილმა, რომელიც ორ ცალ საქანელას სპორტულ კომპლექსს უწოდებს.

ფსიქოლოგიური ზემოქმედება დროებით იზოლატორში

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, მიმდინარე წლის მაისში, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულეს მანუჩარ ახვლედიანი, ირაკლი ჩანტლაძე და ირაკლი დუნდუა, რომელთაც ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, პატიმართა განმარტებით, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების მხრიდან მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

— სამივე პირი აღნიშნავდა, რომ მათ მთელი დღის განმავლობაში არ ჰქონდათ მიღებული საკვები და არ მიეწოდათ თეთრეული. მათი გადმოცემით, დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას დმი-ს თანამშრომლებმა მოსთხოვეს გაშიშვლება და ბუქნების გაკეთება. ახსნა-განმარტებებში მ.ახვლედიანი, ი.ჩანტლაძე და ი. დუნდუა მიუთითებენ, რომ მათ აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, თანამშრომლები ხშირად აბრახუნებდნენ საკნის კარზე, რომ პატიმარს არ მისცემოდა ძილის საშუალება და იგრძნობოდა ირონიული დამოკიდებულება. კანონით გათვალისწინებული ნივთების მოთხოვნისას შესაბამისი მოხელეები დამცინავად პასუხობდნენ პატიმრებს და მიუთითებდნენ მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე, — აცხადებს სახალხო დამცველის ოფისი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხსენებული დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა ქმედებები შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ„ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში შევსებაა

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში (სდსს) 448 წვევამდელმა სამხედრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი დადო.

როგორც სდსს-დან იტყობინებიან, მათ პირობა დადეს, რომ დაიცავენ საქართველოს კონსტიტუციას, სამხედრო წესდების მოთხოვნებს და შეასრულებენ მეთაურთა ბრძანებებს.

ფიცის დადების შემდეგ ჯარისკაცებმა საზეიმო მარშით გაიარეს და თავდაცვის სამინისტროს სარიტუალო ორკესტრის თანხლებით საქართველოს ეროვნული ჰიმნი შეასრულეს.

ფიცის დადების ცერემონიას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ესწრებოდა, რომელმაც ახალწვეულებს ქვეყნის სამსახურში ჩადგომა მიულოცა.

დავით ბაქრაძემ და სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ჯანაშიამ ახალწვეულებთან ერთადაც ისადილეს.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 448 საკონტრაქტო მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. ისინი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს დაიცავენ.

ინტერპრესი

როცა თვალთახედვის ისარი მოკლეა!..

◎ მიმოხილვა

რა ახლოა დუშეთიდან ვაშინგტონამდე!..

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პოლიტიკური ცენტრის თბილისიდან ქუთაისში გადატანის მცდელობამ ხელისუფლებისთვის სასურველის საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა. იმერლებმა არ მიიღეს ძვირადღირებული და ეფემერული საჩუქარი – საპარლამენტო ქალაქის სტატუსი – და სააკაშვილის ავანტიურისტულ ქმედებებს მანამდე არნახული მრისხანე პროტესტით უპასუხეს.

ვინ კითხავს კლინტონს!..

გასული კვირა დაიწყო იმ ღირსშესანიშნავი მოვლენით, რომ საქართველოში ჩამოვიდა თანამედროვე მსოფლიოს ნომერი პირველი დიპლომატი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. თბილისზე და თბილისელებზე გულაყრილმა პრეზიდენტმა ქალბატონი კლინტონი გათუმში მიიღო. კაცმა რომ თქვას, ამ მრავლისმეტყველ ჟესტს არც თბილისელების პროტესტი გამოუწვევია და არც ამერიკელი საპატიო სტუმრისა.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გამო საქართველოში შემოვლილმა ქალბატონმა ჰილარიმ სააკაშვილს და საქართველოს მოქალაქეებს უმაღლესი რანგის დიპლომატისათვის საკმაოდ პირდაპირ უთხრა, მოდი, ბიჭებო, რუსეთისკენ თითის შვერას და ამერიკა-ნატოს იმედად ყოფნას თავი დანებებთ, თქვენს საქმეს მიხედეთ – დემოკრატიისკენ თქვენს სწრაფვას შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები გამოაჩენსო. მართალია, თქვენი რეფორმებით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ საარჩევნო გარემო აუცილებლად უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, არჩევნების მონაწილე ყველა სუბიექტს ერთნაირი (კარგი!ძ პირობები უნდა ჰქონდესო. მოკლედ, ხელისუფლებისკენ მიმავალ ივანიშვილს და მის კოალიციას ბორგლებში საგორავებს ნუ დაუდებო.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სააკაშვილის განცხადებას, რომ გათუმში საკურორტო სეზონი თურმე 6-7 თვეს გრძელდება, ქალბატონი კლინტონის წასვლის შემდეგ ხელისუფლების რეაქცია მეგობარი და მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს სახელმწიფო მდივნის შეგონებებზე ასეთი იყო:

ქართული მედიასივრცის ჟანდარმად ჩამოყალიბებულმა კომუნიკაციების ეროვნულმა (ანუ ბოკერია-რამიშვილის კუთვნილმაძ კომისიამ ამერიკელი დიპლომატის წასვლისთანავე, 7 ივნისს ივანიშვილის კუთვნილ ტელეკომპანია „მეცხრე არხს“ გაუთიშა მეტრული მაუწყებლობა; იმავე დღეს, 7 ივნისს, კონტროლის პალატამ სამართალდარღვევათა სუბიექტად ცნო პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი და შესაბამისი ოქმები განსახილველად გადაუგზავნა სასამართლოს; იმავე დღეს, 7 ივნისს, საქართველოს პროკურატურამ (რომელიც მხოლოდ კანონს ემორჩილებაძ!ძ ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობის ფაქტზე დააკავა ქართული ოცნების აქტივისტები გრიგოლ ამბროლაძე, მიხეილ მესხი და მიხეილ ამაშუკელი; იმავე დღეს, 7 ივნისს, აწ უკვე სააკაშვილის კუთვნილ რამდენიმე ათას სამარშრუტო მიკროავტობუსს შესაშური ოპერატიულობით დახსნეს რადიომიმღებები და მის ნაცვლად ხელისუფლების გმირული საქმეების სარეკლამოდ სპეციალური მონიტორები დაუყენეს!.. ქალბატონი კლინტონის წასვლისთანავე ქართული დემოკრატიის მამამ გიგა ბოკერიამ განაცხადა, კლინტონი რა შუაშია, ქართველი ხალხის გედი ქართველი ხალხის გადასაწყვეტიაო. ოქრო სიტყვაა, „ქართველ ხალხში“ გატონი ბოკერია მხოლოდ მიშას, ჰალიკოს, აკოს, კაკოს, გოკას, კოგას, ეკას და ნუგზარ წიკლაურს რომ არ გულისხმობდეს.

ბევრის მთქმელია, რომ ჰილარი კლინტონთან ერთოგლივ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრინციპულად არ უპასუხა როიტერის კორესპონდენტის პირდაპირ შეკითხვას, აპირებდა თუ არა ხელისუფლებაში დარჩენას პრემიერის რანგში საარეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ.

დაგეჯერებინათ ძიძიგურისთვის...

საპარლამენტო კომპლექსის მშენებლობას ქუთაისში კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ოფიციალური ცნობით, ერთ-ერთი მუშა ხარაჩოს ჩამონგრევის შედეგად ნანგრევებში მოჰყვა. სასწრაფოდ მობილიზებულმა პოლიციამ ჟურნალისტები შემთხვევის ადგილას არ დაუშვა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაღუპულის ოჯახს მიუსამძიმრა და დაგვამშვიდა, ნგრევა შენების თანმდევი პროცესია და სანერვიულო არაფერიაო. X-XI საუკუნეებიდან მოყოლებული, მსგავსი აღმშენებლობა საქართველოში არასოდეს ყოფილა და რამდენიმე კაცი თუ დაიღუპება, ამით ბევრი არაფერი დაშავდებაო. განკარგულებაც გასცა, საქმე კარგად გამოიძიეთ და ყველა დამნაშავე, დიდიან-პატარიანად, სასტიკად დასაჯეთო.

რა თქმა უნდა, ასეც მოხდება. ოლონდ გული იმაზე მეთანაღრება, რომ ჩვენი სახელოვანი გამოძიება ამჯერადაც ვერ დაადგენს მთავარი დამნაშავის ვინაობას. იმისა, ვინც ბოროტად იყენებს თანამდებობრივ მდგომარეობას და მშენებლობის პროცესს ხელოვნურად აჩქარებს.

არადა, ამბობდა ეს პატიოსანი ადამიანი, ზვიად ძიძიგური, ქუთაისში მშენებარე პარლამენტის საძირკველში დეპუტატ კობა ხაბაზს თუ არ ჩაატანთ, არაფერი გამოვაო. დაგეჯერებინათ, რაღა – ერთი ნაცი დეპუტატი გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ. თანაც, კობას ისე უნდა ისტორიაში შესვლა, ისე უნდა...

აბობოქრებული იმერეთი

გასული კვირა იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ქუთაისში „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებული ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა.

ხელისუფლება იმედოვნებდა და ჩვენც გვაიმედებდა, რომ ბრძენი იმერლები არ აჰყვებოდნენ პუტინის ფულით გაზულუქებული ვიღაც ვიგინდარა ოლიგარქი ბორიას (აი იმისა, მარტო ქველმოქმედებაზე მილიარდნახევარი დოლარი რომ დახარჯა, სამების ტაძარი რომ ააშენა, სამასზე მეტი ეკლესია რომ აღადგინა, ათასობით ადამიანის სიცოცხლე რომ იხსნა, ქართული მეცნიერების კერები რომ ნგრევას გადაარჩინა, ქართული კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებს ღირსება რომ შეუნარჩუნა, ქვეყნის სამხედრო ძლიერებაზე რომ ზრუნავდა, საამაყო ქართული პოლიციის აღჭურვაზე ათეულობით მილიონი რომ დახარჯა, წლების განმავლობაში სააკაშვილის მთავრობას ხელფასს რომ უხდიდა...ძ მოწოდებებს და მის მხარდასაჭერად ქუთაისის ქუჩებში არ გამოვიდოდა. თბილისი სხვა საქმეა: თბილისი ჩარეცხილების, მუმიების, კულაკების, უნიჭოების, უსაქმურების და უსინდისოების ქალაქია. მეტი რაღა გინდათ ძმაო – დავით აღმაშენებლისგან წართმეული დედაქალაქის სტატუსი დაგიბრუნეთ; შადრევანი, შუშის პარლამენტი და ციხე აგიშენეთ, ბოგოხიძე დაგიწინაურეთ, ადეიშვილის და მერაბიშვილის ჩამოყვანას დაგპირდით... ჯანდაბას, ხათუნა და ვერიკოც თქვენი იყოს!

და მაინც, ხელისუფლებამ იმერლების გული ვერ მოიგო. გასულ კვირას ქუთაისში დაგეგმილ „ქართული ოცნების“ მიტინგზე 50 000 კაცი მაინც შეიკრიბა – 150 000-იანი ქალაქისთვის ეს გრანდიოზული, ყოვლად უპრეცედენტო ციფრია. მართალია, აკაკი ბოგოხიძე ბრძანებს, ისინი ქუთაისლები არ იყვნენო (პატივცემული აკაკი ყველა იმერელს სახეზე ცნობს და ყველას მისამართი ზეპირად იცის!ძ, მაგრამ ამას არცა აქვს მნიშვნელობა – ისინი ქართველები არიან, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც აღარ უშინდებიან ხელისუფლების ძალადობას და არ სჯერათ ხელისუფლების ტყუილებისა.

თბილისისა და ქუთაისის დაპირისპირებაც რომ არ გამოვიდა!..

იფრინეთ და ითამაშეთ, ქართველებო!

მოდი, ცუდ ამბებს ნუღარ გავიხსენებთ. თუნდაც იმას, გასულ კვირას ზუგდიდში გარემოვაჭრეები რომ დაარბიეს და ათეულობით ოჯახი ულუკმაპუროდ დატოვეს. კარგზე ვისაუბროთ, მაგალითად, უმაღლესი ხელისუფლების ახალ მომხიბლავ ინიციატივებზე.

ჯერ პრეზიდენტმა მიშამ გაგვახარა, ამერიდან კოპენჰაგენიდან ევროპაში გადაფრენა 37 ევრო ეღირებაო. აი, რას ნიშნავს პარი: ოდესღაც თბილისიდან მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთის ღირებულება რომ 37 მანეთი, ანუ დღევანდელი კურსით, სწორედაც 37 ევრო ღირდა. აბა, რა ეგონათ იმ დამპალ კორუმპირებულ კომუნისტებს – სად იმათი ძონძი ტუები და ილები და სად მიშას თანამედროვე უპილოტო თვითმფრინავები!

პრეზიდენტს არც თბილისის მერი გიგი უგულავა ჩამორჩა და მანაც ციცხალი ინიციატივა გაჩითა: გადავაქციოთ თბილისი ინტერნეტ-ქალაქად! მალე მთელი თბილისი უკაბელო ინტერნეტის ზონად იქცევა. ის ხალხი, ახლა ლუკმას სანაგვე ურნებში რომ ეძებს, დაჯდება კომფორტულად კეთილმოწყობილ სკვერში, დაიდებს მუხლებზე ნოუთბუქს და მიდიიი... მეტი რაღა გინდათ, თქვე უმადურო თბილისელებო, აბა, მერი გიგი თქვენი ფულით ნაყიდ გოლიდებს ხომ არ გისაჩუქრებთ, გადასახადებს ხომ არ შეგიმცირებთ ან ბენზინს ხომ არ გაგიიაფებთ.

გვმართებს ბირილი და ცრემლთა დენა...

მინდოდა, გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა სწორედ ამ ამბით დამეწყო, მაგრამ ორი მიზეზის გამო თავი შევიკავე:

1. ამ ინფორმაციის ფონზე ყველა დანარჩენი ინტერესს და მნიშვნელობას დაკარგავდა;

2. ზუსტად არ ვიცი, ქართველი ხალხის მოსისხლე მტრების მიერ გავრცელებული ჭორია, თუ მწარე სიმართლე.

მოკლედ, ასეა თუ ისე, მაინც უნდა ვთქვა: გასულ კვირაში გავრცელდა ხმები, რომ მსოფლიო პოლიტიკას ტოვებს და ბერად აღკვეცას აპირებს... სათქმელად ენა არ მიბრუნდება – პოლიტიკიდან მიდის შალვა ნათელაშვილი!

ეეეჰ, შალვასაც ისევე ვერ გაუგო მშობელმა ხალხმა, როგორც ჯორდანო ბრუნოს, როგორც ნიკოლო პაგანინის, როგორც ილია ჭავჭავაძეს. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ამ ტრაგიკულ საკითხზე ლაპარაკი თვით სოსო შატბერაშვილმა, ლეიბორისტული შრომის პარტიის მთავარმა იდეოლოგმა, არ ინება.

აწი ვინღა გვაშრომებს ლეიბორისტულად, აა?!

ნუ წახვალ შალვა, ნუ დააოგლებ ქართულ პოლიტიკას!

მიხეილ დარახველიძე.

P. S. როგორც გუშინ ცნობილი გახდა, გადავრჩით: შალვა რჩება, შალვა არ მიდის. გმადლობთ, შალვა!

◎ კონფლიქტის ზონა

პოლიტიკოსები იმუქრებიან, სროლა გრძელდება

მეორე კვირაა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ორმხრივი სროლა მიმდინარეობს. კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედების განახლების შესახებ ცნობები 5 ივნისს გავრცელდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პირველი ბრძოლების შედეგად 4 აზერბაიჯანელი და 3 სომეხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, იყვნენ დაჭრილებიც.

კონფლიქტის განახლებიდან დღემდე, ჭირს იმის დადგენა, რეალურად რა ხდება საზღვარზე, ვინაიდან ორივე მხარე განსხვავებულ, მათთვის ხელსაყრელ და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. „აზერბაიჯანულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. აზერბაიჯანელი სამხედროები ცდილობდნენ სომხეთის ტერიტორიაზე შეჭრას. სომეხი სამხედროების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის შედეგად მოხერხდა მათი შეჩერება“, – განაცხადა სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა.

აზერბაიჯანული მხარე ამის საპასუხოდ ირწმუნებოდა, რომ მათმა სამხედროებმა სომეხი დივერსანტების აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შელწევის მცდელობა აღკვეთეს. მსგავსი განცხადებების კეთება დღემდე გრძელდება, სამხედრო დაპირისპირება კი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და, შესაბამისად, იზრდება დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვიც.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობამ უკვე 29-ს მიაღწია. სომხური მხარის მტკიცებებით, დაღუპულთაგან 25 აზერბაიჯანელი და მხოლოდ 4 სომეხი ეროვნების ჯარისკაცია. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო კი მხოლოდ 4 აზერბაიჯანელი სამხედროს დაღუპვას ადასტურებს.

დაპირისპირებული მხარეების საომარ რიტორიკაში თანდათან ისეთი ნოტებიც ჩნდება, ჯერჯეროგით ლოკალურ კონფლიქტს, ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებაში გადაზრდას რომ უქადის. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, თვითთალიარებული „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“ აზერბაიჯანის ტერიტორიაა, რომლის დაკარგვასაც აზერბაიჯანი არასოდეს შერიგებია. „აზერბაიჯანს აქვს კანონიერი უფლება და საშუალება, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა, რაც გარკვევითაა ასახული საერთაშორისო კანონმდებლობაში“, – აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ელმან აბდულაევი.

იხ. 8 გვ.

◎ ხედვა

ხელისუფალთ პირდაპირ მიანიშნებს, არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში ვენდეტა არ გელითო

ქუთაისში „ქართული ოცნების“ მიერ გამართული აქციის პოლიტიკურ შედეგებზე **„ინტერპრესნიუსი“** საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხელმძღვანელს **გიორგი მარგველაშვილს** ესაუბრა.

— ბატონო გიორგი, რა შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისში გამართულმა „ქართული ოცნების“ აქციამ? იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ხელისუფლება, ისე თავად კოალიცია „ქართული ოცნების“ რეგიონში პირველ გასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, აქციაზე ხალხის რაოდენობიდან გამომდინარე რა შეიძლება ითქვას?

— შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი საქართველოში კიდევ ერთი თავისუფლების ქალაქია. ღმერთმა ასეთი თავისუფალი ქალაქების რაოდენობა უმრავლოს ქვეყანას, სადაც ადამიანები თავისუფლად გამოხატავენ თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, მრწამსს და ეს ხდება მშვიდობიანად და ცივილიზებულ ფორმებში.

— როგორ შეაფასებდით ივანიშვილის მიერ ქუთაისში გაცხადებულ წინასარჩევნო დაპირებებს — ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქი — გელათის აკადემიის ტრადიციების გამგრძელებელი, ახალი ტექნოლოგიების ათვისებით ქუთაისის სამრეწველო პოტენციალის გამოყენება, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მილიარდიანი ფონდის შექმნა, სახელმწიფოს მიერ თითოეული მოქალაქის ჯანდაცვაზე ვალდებულების აღება?

— თქვენს მიერ ჩამოთვლილ სფეროებს კვალიფიციური ექსპერტი არ გახლავართ, მაგრამ როგორც მოქალაქეს, მაქვს ჩემი პოზიცია. რაც შეეხება ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის პერსპექტივას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იდეაა. საგანმანათლებლო თვალსაზრისით ერთ-ერთი წარმატებული ამერიკის შეერთებულ შტატები სწორედ განათლების სისტემის დეცენტრალიზაციაზეა ორიენტირებული. რეგიონებში საუნივერსიტეტო ქალაქების არსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალის დეცენტრალიზაციას. ამერიკული „ლენდ გრენდის“ ტიპის უნივერსიტეტებში რეალურად ყალიბდება სოფლის მეურნეობის სისტემა. სოფლის მეურნეობაზე პასუხიმგებლობას ასეთი საუნივერსიტეტო ქალაქები იღებენ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება ამერიკული გამოცდილების საქართველოში დანერგვა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში ჩასადებ მილიარდს. ამ სფეროში ინვესტიციის განხორციელების თაობაზე ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ პირველ წერილში განაცხადა. რეალურად, ეს არა მარტო სოფლის მეურნეობას, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროს ეხება, ეს ქვეყნის გადარჩენის წინაპირობაა, ამაზე უკვე საკმაოდ გევრი ითქვა. რეალურად საუბარია არა მარტო ცალკე სოფლის მეურნეობაზე, არამედ ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაზე. განვითარებული სოფელი არ არის მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პომიდვრის მოყვანა. ეს იმავდროულად გახლავთ არა მხოლოდ აგრონომია და ვეტერინარია, არამედ ახალი ინფრასტრუქტურა, ახალი ტექნოლოგიები და საქართველოს რეგიონების თანამიმდევრული განვითარების წინაპირობა. ეს კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მარტო მევენახეობაზე, მეცხოველეობაზე, მეხილეობაზე, არამედ მთელ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც ამის ირგვლივ იქმნება. სოფლის მეურნეობაში ჩასადები ერთი მილიარდი, რომელზეც სააკაშვილმა თავის დროზე უარი თქვა, ის საფუძველია, რომლითაც უნდა გაიმართოს ქართული სოფელი, რასაც მოჰყვება რეგიონებში და საერთოდ ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება.

რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროზე ხელმწიფოს მიერ ვალდებულებების აღებას. დღეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები მიგმულია კერძო სადაზღვევო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიები მიგმულია კერძო სავაადმყოფოებს, ხოლო პრივატიზებული საავადმყოფოები მიგმულია კერძო საფთიაქო ქსელებსა და ფარმაცევტულ წარმოებას! ეს ისეთი დარღვევაა, რომ არა მგონია, რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში ასეთი რამ სადმე იყოს. ეს ისეთივეა, რომ სახელმწიფო მმართველობაში ერთმანეთისგან არ იყოს გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებები და სასამართლო. ქვეყანაში, სადაც პარლამენტი პრეზიდენტის სანოტარო კანტორადაა ქცეული, პრეზიდენტი განაგებს პროკურატურასა და სასამართლოს, ჯანდაცვის სფეროში არსებული ვითარება გასაკვირი სულაც არაა. რეალურად, ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ორიენტირებულია არა პაციენტის მკურნალობაზე, არამედ პაციენტის შემოსავლის წყაროდ განხილვაზე. თავად მძონდა შეხება ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიასთან და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. შეურაცხყოფელი იყო ის ფორმა, რომლითაც მეკონტაქტეზოდა კომპანია ადამიანს, რომელიც მეტ-ნაკლებად დაცული უნდა იყოს იმის გამო, რომ დაზღვევის სრული პაკეტი აქვს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ როგორ ეპყრობიან ამგვარ კომპანიებში ადამიანებს, რომლებსაც ამგვარი დაზღვევის პაკეტი არა აქვთ. რატომლაც მსგავს კომპანიებში პაციენტებთან კონტაქტი აქვთ არა ექიმებს, არამედ იურისტებს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვას, მე ვენდობი და დიდი იმედი მაქვს ივანიშვილის ბიზნესგამოცდილების.

— ივანიშვილმა ერთ დროს ქურდული ტრადიციებით ცნობილ ქუთაისში განაცხადა — „ქურდული მენტალიტეტი არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ისინი არც ქურდად მომჯდარმა ხელისუფლებამ უნდა ჩაანაცვლის“. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად და ენერგიულად ებრძვის როგორც ქურდულ სამყაროს, ისე ქურდულ მენტალიტეტს. თქვენ აზრით, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ქურდები „ქურდად მომჯდარმა ხელისუფლებამ ჩაანაცვლა“?

— თუ არ ვცდები, ამ ტიპის შეფასება ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ პირველ განცხადებაში გააკეთა. ეს აზრი მან თავის ერთ-ერთ ტელეინტერვიუშიც გამოთქვა. რას ნიშნავს ჩაგვრა სახელმწიფოს კონტექსტში? ახლა საქართველოში მჩაგვრელი გახდა უფრო ორგანიზებული, ინსტიტუციურ ტანსაცმელში ჩაცმული, ანუ სახელმწიფო გახდა მჩაგვრელი. სოციალური, ეკონომიკური და მორალური ჩაგვრა დაუწერელი კანონით ხორციელდება.

ერთი მხრივ არსებობს ქურდული მენტალიტეტი, მეორე მხრივ არსებობს ის, რასაც ამერიკელები უძახიან „რულერ ლო“ და რასაც დანარჩენი მსოფლიო ინგლისურ კულტურად იცნობს. მისი არსი შემდეგია — მოქალაქეებს სახელმწიფოს მიმართ აქვთ ვალდებულებები. ქონების წართმევები, მასობრივად წილების გადაფორმებები, რომელიც ჩვენთან 2004 წლიდან მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს, ხორციელდებოდა სახელმწიფოს სახელით, რეალურად კი ამის უკან იდგა არა სახელმწიფო, არამედ კონკრეტული პოლიტიკური კლანი. ის, რაც ჩვენთან ხდება, არანაირად არ ჯდება „რულერ ლოს“ კონტექსტში. ამის კარგი მაგალითია, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მედიასაშუალებების მიტაცება, რომლითაც ხორციელდება სახელისუფლებო პროპაგანდის წარმოება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ქურდული მენტალიტეტის დემონსტრირება.

ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაც ქურდული მენტალიტეტის გამოვლინება იყო. სახელისუფლებო ჯგუფის „სხადნიკამ“ გადაწყვიტა ივანიშვილის რამენაირად შეჩერება. შედეგად მივილეთ ის, რასაც ვერანაირად ვერ დაარქმევ სახელმწიფო კანონების აღსრულებას. ვინაიდან, ამუშავდა ივანიშვილისათვის „ფულის დაწერვის“ მანქანა, რომელიც კანონების სახით სახელდახელოდ იქნა მიღებული. ეს არის ის, რასაც ჰქვია ქურდული მენტალიტეტის დაბრუნება, რომელიც უკვე სახელმწიფო დონეზე არსებობს.

— ივანიშვილმა განაცხადა — „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში „საქართველოში საზოგადოება აღარასოდეს დაიყოფა ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. საქართველო უნდა იყოს თავისუფალ მოქალაქეთა სახელმწიფო“, ანაც, „ჩვენ ქვეყანაში უნდა დავამკვიდროთ ახალი პოლიტიკური კულტურა, დავანახვებთ ყველას, თუ როგორ უნდა ექცეოდეს ხელისუფლება ოპოზიციას“. ამ განცხადებების ადრესატი საზოგადოების გარდა, ხელისუფლებაც უნდა ყოფილიყო...

— ბუნებრივია, ამ განცხადების ადრესატი ხელისუფლებაა და, მათ შორის, საზოგადოება. ივანიშვილი გამარჯვებაში დარწმუნებულია და თავისივე გუნდს კარნახობს იმას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი გამარჯვების პირობებში. ივანიშვილმა სახელისუფლებო გუნდს პირდაპირ მიანიშნა, რომ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მათ ვენდეტა არ ელით. თუ სააკაშვილის განცხადებების კონტექსტს დავაკვირებით, დავინახავთ, რომ სააკაშვილის განცხადებების ძირითადი მიზანი არის ტემპერატურის მაქსიმალური აწევა შინაარსის გარეშე. ამ ბოლო დროს სააკაშვილის უმეტესწილად საუბრობს მუმიებზე, წარსულზე, აჩრდილებზე, ქუჩაზე, სადაც ერთი „დვიჟოკი“ იქოქება, ანუ იგი მოსახლეობას არმაგედონით აშინებს, რომლის შინაარსაც ვერ აღწერს. ის, რომ ივანიშვილი ქურდული მენტალიტეტის არაა, არავის მჩაგვრელი არაა და ქველმოქმედია — ეს ფაქტია. სააკაშვილს ივანიშვილთან დაკავშირებით მითების შექმნა და ტემპერატურის აწევა გაუჭირდება. სააკაშვილი ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ დამარცხების შემთხვევაში საქართველოში გართლომეს ღამე დაიწყება, მაგრამ ამას აშკარად ვერ ახერხებს.

ივანიშვილმა ხელისუფლებას მიანიშნა, რომ იგი პოლიტიკაში ვენდეტისთვის არ მოსულა. იგი მთელ საზოგადოებას გაერთიანებისკენ და არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებს.

კობა გენდელიანი

ხელისუფლება ვა-ბანკზე მიდის!

საკაშვილი სტრატეგიულ მიმართულებასაც შეცვლის, თუ ამერიკა ზეწოლას შეეცდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის კავკასიური ტურნე დასრულებული არ იყო, როდესაც კავკასიაში ვითარება შეიცვალა, მთიან ყარაბაღში სიტუაციის გამწვავებასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს შორის მჭიდრო კავშირს ხედავს ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი**, რომელიც მიიჩნევს, რომ სწორედ ამავე ვიზიტის შედეგია ხელისუფლების სამოქმედო ტაქტიკის შეცვლა და ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან „ქართულ ოცნებასა“ და მის ლიდერზე ზეწოლის გაძლიერება.

სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, თუ ხელისუფლებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად დასჭირდება, ის ყველაფერზე წავა და მათ შორის გლობალური სტრატეგიული მიმართულებების შეცვლაზეც არ იტყვის უარს.

— ბატონო სოსო, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ტელეეთერში კითხვა დაუსვეს ოპოზიციასა და საარჩევნო გარემოზე, მისი პასუხი იყო, რომ ის აღფრთოვანებული დარჩა იუსტიციის სახლით, რომელიც მან ბათუმში ნახა და როდესაც ხალხს ასეთ რამეს უშენებ, როგორ შეიძლება მან ხმა არ მოგცეს. კლინტონის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, როდესაც ასეთი აღმშენებლობაა საქართველოში, არ არსებობს არაკონკურენტუნარიანი გარემოს საჭიროება. შეიძლებოდა თუ არა, ასეთი შეფასებები „ნაციონალურ მოძრაობას“ საკუთარ მხარდაჭერად აღექვა?

— რჩება შთაბეჭდილება, რომ საეჭვოა, დემოკრატად მიაჩნდეს ქალბატონ კლინტონს ის ხელისუფალი, რომელიც ეგვიპტეში პირამიდებს აშენებინებდა. ძნელია საუბარი იმაზე, რომ მასშტაბური მშენებლობა რაიმე სახის პირდაპირ დამოკიდებულებაში იყოს დემოკრატიასთან. ჩვენ გვახსოვს რა ოდენობის სამუშაოები აქვთ შესრულებული გულაგის არქიპელაგის ტყვეებს და პატიმრებს, მაგრამ როდესაც მთელ ქვეყანაში ალმშენებლობის სიმბოლოდ ითვლება პოლიციის შენობები, გამჭვირვალე კედლებით და შავ-ბნელი სარდაფებით, ვფიქრობ, დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად ჩამოსული მაღალჩინოსანი პოლიტიკოსისგან უფრო უკეთ შეიძლებოდა ყოფილიყო განმარტებული საზოგადოებისთვის, რას უნდა ვაყენებდეთ პრიორიტეტად - ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას თუ მშენებლობის უკიდეგანო მასშტაბებს, რომელიც არც ბიუჯეტში ეტევა, არც შრომის ანაზღაურების პუნქტუალობით გამოირჩევა და არც რაიმე ტიპის საკუთრების მიმართ პატივისცემის გამომხატველია.

— ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა წერილით მიმართა აშშ-ის საელჩოს, სადაც ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა შეხვედრა არ შედგა. ეს არის თუ არა რაიმე განწყობის გამოხატულება აშშ-ის მხრიდან?

— მართალი გითხრათ, ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ, რადგან არსებობს სრულიად მკაფიო პროტოკოლი ამ რანგის პოლიტიკოსების ვიზიტისას და ადამიანი, რომელსაც ფორმალურად არ უკავია რაიმე შესაბამისი თანამდებობა, არ არის არც ერთი პარტიის ფორმალური ლიდერი, არ გააჩნია ქვეყანაში მოქალაქეობა, მიუხედავად იმისა, როგორ ეკიდებიან ფაქტს, სრულიად თვალსაჩინო იქნებოდა საქართველოს ხელისუფლებისთვის პროტოკოლის დარღვევით ინდივიდუალური შეხვედრა რომ გამართულიყო გატონ ივანიშვილთან.

სრულიად კორექტული წერილით აცნობეს გატონ ივანიშვილს, რატომ ვერ მოხდებოდა შეხვედრა ინდივიდუალურ რეჟიმში და იქვე დასძინეს, რომ ამერიკის მხარისთვის სრულიად გასაგები იქნებოდა, თუ ის ამ ფორმატში შეხვედრაზე არ დათანხმდებოდა, რაც პრაქტიკულად, წინასწარ ბოდიშის მოხდის ტოლფასია.

ასეა თუ ისე, ქალბატონი კლინტონი, რომელიც ნოემბრის პირველ ოთხშაბათამდეა დიდ პოლიტიკაში, როგორც თავადვე თქვა, და აღარ აპირებს სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დარჩენას ობამას წარმატების შემთხვევაშიც, არანაკლებ უნდა ყოფილიყო ასეთ შეხვედრით დაინტერესებული, ვიდრე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის პრეტენზიის მქონე ივანიშვილი, რადგან ერთი წარმავალი პოლიტიკოსია, მეორე კი პირიქით, მოსვლას აპირებს დიდ პოლიტიკაში.

— ძნელია ილაპარაკო რაიმე კმაყოფილებაზე, როდესაც ყველაფერი კარგად არის ცნობილი ორივე მხარისთვის და აზრთა სხვადასხვაობასაც პრაქტიკულად, ადგილი არ აქვს. ასეთ ვითარებაში მთავარია ნაბიჯები, რომელსაც გადადგამს ხელისუფლება და არა ემოციები და მოლოდინები, რომელსაც გამოხატავს მაღალი რანგის სტუმარი, ან თუნდაც ცამდე მართალი ოპოზიცია.

კლინტონის კავკასიური ტურნეს შემდეგ ვითარება შეიცვალა საქართველოში, ვგულისხმობ ხელისუფლების დამოკიდებულებას ოპოზიციისადმი, ვითარება შეიცვალა კავკასიაშიც. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა შეფასება, რა იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის რეალური მიზეზი და შედეგი...

— ძალზე თვალსაჩინოა სამხრეთ კავკასიაში კლინტონის ვიზიტის მიმართ გაღიზიანება. ჩვენ მუდამ ვსაუბრობთ რუსეთის ხელისუფლების კვალზე. დღეს შეგვიძლია, ვილაპარაკოთ როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ხელისუფლების გაღიზიანებაზე ამ ვიზიტით.

შეიარაღებული დაპირისპირების დამთხვევა სომხეთსა და აზერბაიჯანელებს შორის, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის.

არც ის არის შემთხვევითი, როგორც კი ჰაერში აფრინდა ქალბატონ კლინტონის თვითმფრინავი, დაიწყო გაუგონარი დევნა „ქართული ოცნების“ და პირადად ივანიშვილის მიმართ სრულიად დაუშვებელი ფორმით და ინდივიდუალურად მისთვის შეთითხნილი კანონების მეშვეობით.

— გამოითქვა მოსაზრება, რომ არეულობა მთიან ყარაბაღში სწორედ კლინტონის ვიზიტის შედეგია, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო?

— ვფიქრობ, ეს მოვლენები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, გამომდინარე თუნდაც იქიდან, როგორი ყეფა გამოიწვია რუსეთის საგარეო სამინისტროს მხრიდან ქალბატონ კლინტონის საქართველოში ჩამოსვლამ და ამ ვიზიტის შედეგებმა.

რასაკვირველია, აქ თავისი ლეიტმოტივი გააჩნდა იმ ფაქტსაც, რომ ამ ვიზიტის თარიღი გამოცხადდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა 7 მილიონის ნაცვლად 300 მილიონამდე გაუძვირა რუსეთს რადიოსალოკაციო სადგურის იჯარის ღირებულება. როდესაც ადრე პუტინი თავად სთავაზობდა აშშ-ს ამ რადიოლოკაციური სადგურის ერთობლივ გამოყენებას და სამხრეთის მიმართულებით სარაკეტო აქტივობის გაკონტროლებას, ცხადია, ახლა არსებობს საფრთხე, რომ ეს სადგური აშშ-მა რუსეთისგან დამოუკიდებლად გამოიყენოს, უშუალოდ აზერბაიჯანთან მოლაპარაკების მეშვეობით. ამიტომ, ასეთი პროვოკაციები არც თუ იშვიათია იმ ქვეყნის მხრიდან, რომელსაც თავი ვერ უგრძვნია კომფორტულად დედამიწაზე და მუდმივად არაადეკვატურ რყევებში ამყოფებს საკუთარ სახელმწიფოსაც და მეზობლებსაც.

ასევე გასაკვირი იქნება ქალბატონი კლინტონისთვის, როგორ გავეშდა „ნაციონალური მოძრაობა“ ქალბატონ კლინტონის მიერ საქართველოს დატოვებისთანავე, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისთვის ვერანაირი დამამშვიდებელი პერსპექტივა ვერ მოინახა და საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ შანტაჟზე გადავიდა, რომ თუ ისინი არ იქნებიან ცნობილი ლეგიტიმურ ხელისუფლებად მომავალ არჩევნებზე, მათ არ გაუჭირდებათ სპეკულირება ქვეყნის ბედით. ეს შეიძლება იყოს ირანთან თამაშის გაღრმავება, გარკვეული შანტაჟი ავღანეთის ანტიტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის

— სხვათა შორის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ იქნეს გამოყენებული, შესაძლოა, ვივარაუდოთ რომ საქართველო მსგავს პროვოკაციებსაც წამოეგოს?

— დაახლოებით იმავე შინაარსის იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელიც უწუნებს ტერმინოლოგიას ქალბატონ კლინტონს. რამდენიც არ უნდა წერონ და იკითხონ რუსმა კანონმდებლებმა, ფაქტი ერთია, რომ საერთაშორისო კანონმდებლობას არავინ შეცვლის.

— კლინტონის წასვლისთანავე „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლა გაიზარდა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილის არჩევნებში მონაწილეობას ხელს არ შეუშლის. როგორ ფიქრობთ, ამ პოლიტიკით ხელისუფლებას რისი მიღწევა სურს?

— საკუთარი სავარძლის შიშით გამოწვეული გონების დაბნელება ჯერ კიდევ ბევრ წინდაუხედავ ნაბიჯს გადაადგმევინებს ხელისუფლებას და ყოველივე რომ აღიწეროს, რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს, ამ ყველაფრის დაჯერება იქნება ძნელი რიგითი ამერიკელისთვის. რა ტიპის ხელის შეშლაზე შეიძლება იყოს გადასული დღევანდელი ხელისუფლება, ეს შეიძლება მხოლოდ ზურაბ ადეიშვილის თავში მწიფდებოდეს, ამას სხვა ვერ მოიფიქრებს.

ვნახავთ ჩვენ, როგორ წარიმართება წინასაარჩევნო კამპანია სხვადასხვა ქალაქებში. უკვე მოწმე ვართ როგორ აპატიმრებენ ადამიანებს მაისურების მიხედვით და რა ცილისმწამლებლურ ბრალდებებს უყენებენ, რა ტემპში ინიშნება სასამართლოები და რა მოუმზადებელია თავად სასამართლო პროცესი. კომუნისტების დროს იყო პოპულარული გამოთქმა, „მიზანი ერთია, დიადი, ნათელი“. ეს მიზანი არის სააკაშვილის და მისი თანამზრახველების მიერ საკუთარი სავარძლების შენარჩუნება.

— როდესაც ოპოზიციაზე ზეწოლა ყოველდღიურად იზრდება, თანაც ქვეყანაში ჯერ არ არიან საერთაშორისო დამკვირვებლები, რომ ეს ყოველივე შეფასდეს, ხომ არ არსებობს საზოგადოების უიმედობაში ჩავარდნის საფრთხე, ასეთ შემთხვევაში რა შეიძლება იყოს საუკეთესო გამოსავალი?

— საჭიროა პროვოკაციებს არ წამოვეგოთ, ერთიანობა და სიმტკიცე, შევინარჩუნოთ. ძალა ერთობაშია, ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ მიაჩნია, რომ მხოლოდ მისი ელიტის ერთიანობაა აუცილებელი წარმატებისთვის. არა გატონებო, ძალა ერთობაშია იმ ხალხისთვის, რომელსაც გააჩნია თავმოყვარეობა და რომელსაც კარგად ძალუძს თეთრისა და შავის გარჩევა ერთმანეთისაგან და რომელიც არის მოტივირებული, იცხოვროს ისეთ სახელმწიფოში, რომელიც არ იქნება შერცხვენილი საკუთარი ხელისუფლების მიერ პლანეტის მასშტაბით.

— კიდევ ერთი პროვოკაცია წამოიწყო ხელისუფლებამ, სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ „გამოააშკარავონ“ როგორ „ურიგებს“ „ქართული ოცნება“ საჩუქრებს მოსახლეობას, რასაც შესაძლებელია, მასობრივი დაპატიმრებებიც კი მოაყოლონ. ამ ყველაფერს რა შეიძლება დაუპირისპიროს ოპოზიციამ?

— ვერ მიიღებს მასობრივ ხასიათს, რადგან არსებობს ცნება - კონკურენტუნარიანი გარემო. როდესაც ერთი მხარე მეორე მხარეს მდგარი ადამიანების ისტერიულ დაპატიმრებას იწყებს, რა კონკურენტუნარიან გარემოზეა ლაპარაკი, ეს მარტივად გასაგებია, მაგრამ ყველაზე უკეთ იგივე ამერიკელი თუ ევროპელი ამ ხელისუფლების ვერაგობას მაშინ მიხვდება, როდესაც მათ წინ გადაეშლებათ უამრავი ისტორია კერძო საკუთრების ხელყოფისა ამ ხელისუფლების მიერ. ის გაუსტუმრებელი ხელფასები მშენებლებისა, რომლებსაც სრულიად არაგუნებრივ რეჟიმში ამუშავებენ.

კიდევ ვიმეორებ, არ უნდა გაგვიკვირდეს არანაირი მზაკვრობა ხელისუფლებისგან, რომელიც არ ერიდებოდა 2007 წელს საავტომობილო გვირაბებში დაეყარა რკინის საგნები, რომ საგურავები დაზიანებულიყო და მასობრივად მომხდარიყო ავტომობილების შეჯახებები. ამას რომ ჩაიფიქრებს და განახორციელებს ხელისუფლება და ამის მერე წლების განმავლობაში რჩება დემოკრატიის შუქურად, რასაკვირველია, მართვის ეს რეჟიმი მუდმივი ვერ იქნება. ყველას მოუწევს საკუთარი პასუხისმგებლობის დადგომის დროს სინანული, რა მზაკვრობაც ჩაიდინეს ცხოვრების განმავლობაში.

— ანუ თქვენი შეფასებით, ხელისუფლება ვა-ბანკზე მიდის?

— რასაკვირველია, ხელისუფლება მზად არის გლობალური სტრატეგიული მიმართულებების შეცვლისთვისაც, თუ ეს მისთვის საჭირო გახდება და თუ ამერიკა სერიოზულ ზეწოლას შეეცდება. ძალა მხოლოდ ქართველ ხალხშია, ძალა მისი მაღალი სულის და ურყევი ნების. მოტივირებული და მიზანდასახული მოქმედებით ქართველ ხალხს შესწევს ძალა, ნებისმიერი უკანონობა აღკვეთოს და გაიმარჯვოს.

ლალი ზირაქიშვილი,
For.ge

◎ განსჯა

ქუთაისში დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს საზეიმოდ გახსნილი პარლამენტის შენობა ჩამოინგრა. შემთხვევის შედეგად არიან დაშავებულები, არის მსხვერპლიც. ოფიციალური ინფორმაციით, ერთი ადამიანი გარდაიცვალა. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია სამართალდამცველებმა გადაკეტეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ინფორმაცია არ არსებობდა, ხარაჩო ჩამოინგრა თუ შენობა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო მიმდებარე შენობის ხარაჩო, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სწორედ ის შენობა ჩამოინგრა, სადაც პარლამენტის აპარატი იქნება განთავსებული და სადაც დეპუტატები იმუშავებენ.

ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა 2010 წლის აპრილში იმ ადგილას დაიწყო, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს გარდაცვლილ გმირთა მემორიალი იდგა. მშენებლობის დაწყებამდე მემორიალი ააფეთქეს. აფეთქებას დედა-შვილი 42 წლის ეკა ცუცხვაშვილი და 11 წლის ნინო ჯინჭარაძე ემსხვერპლნენ.

2012 წლის 4 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის შენობა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საზეიმოდ უნდა გახსნილიყო.

„ქუთაისში პარლამენტი რომ არ დაამთავრონ, მერე შეიძლება რამაზ ნიკოლაიშვილს ან ინფარქტი დაემართოს, ან რომელიმე და ბევრმა ადამიანმა თანამდებობით აგოს პასუხი“, – განაცხადა სააკაშვილმა. მანამდე, პრეზიდენტმა რუსთავში ვიზიტის დროს ისიც თქვა, რომ თვითონაც არ იცის, როგორ უნდა დაამთავრონ მშენებლობა 26 მაისამდე, თუმცა ის ზუსტად იცის, რომ შეუძლებელია არ დაამთავრონ. 7 ივნისს მომხდარი ფაქტის გამო კი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მწუხარება გამოთქვა და განაცხადა: „არაფერი არ ღირს ისე, როგორც ადამიანის სიცოცხლე. მე ვარ ამ თემაზე ძალიან გაბრაზებული, თან იციან ჩემი პოზიცია ამ საკითხებზე. გულთან ახლოს მიმაქვს. მეორეს მხრივ, ეს არის ის, რომ ჩვენ ბევრად უფრო კარგად უნდა გადავამზადოთ ჩვენი სპეციალისტები“.

Forge დაჩქარებულ მშენებლობებზე, სპეციალისტებზე, სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებზე სამშენებლო საკითხებში ექსპერტს ნიკო კახეთელიძეს ესაუბრა.

„თარიღს გამოკერებული შენობები ყოველთვის ჩამოინგრევა“

— ბატონო ნიკო, მართალია, შენობის ჩამონგრევის ოფიციალური ვერსია ცნობილი არ არის, მაგრამ თუ შეგექმნათ შთაბეჭდილება, რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

— ძალიან რთულია ითქვას, იქ რა მოხდა. მთავარი ის არის, რომ მშენებლობის პროცესები ასე ჩქარდება და დროის ფაქტორის გამო პრობლემები იქმნება. მშენებლობას აქვს თავისი ციკლი და ეს ციკლი უნდა ჩამთავრდეს. ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ ეს მშენებლობა დაჩქარდა, რადგან საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტები ყოველთვის რაღაც თარიღს გამოკერებულია. მაგალითად, ბეტონი თავის დროზე უნდა გაშრეს, შემდეგ სხვა ციკლი და სხვა ეტაპი შემოდის და ამ ყველაფერს თავისი დრო გააჩნია. ეს დრო თუ არ იქნება დაცული, ყოველთვის ვიქნებით ასეთი საშიშროების წინაშე.

მინდა გითხრათ, რომ ეს პირველი ტრაგიკული შემთხვევა არ არის და ბევრი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ, იგივე გმირთა მოედნის თემა, ვაკე-საბურთალოს გზა, სადაც კლდე დღემდე იშლება, გახსნის დღიდან ეს გზა სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებს და ცალი მხრიდან მუდმივად ჩაკეტილია. ეს ყველაფერი იმ დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების გამო ხდება, რასაც ჩვენი ხელისუფლება იღებს.

ყოველთვის ვამბობ ხოლმე, რომ პირველ რიგში შესასწავლია გეოლოგიური მდგომარეობა და ა.შ. უამრავი რამ არის შესასწავლი და გასათვალისწინებელი, როდესაც ასეთი მასშტაბის პროექტებზეა საუბარი.

— მშენებლობის ხარისხზე დიდი ხანია, საუბრობენ, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდებით. იტყვის პრეზიდენტი და შენობა ზუსტად იმ დღეს უნდა დასრულდეს, რა თარიღსაც სააკაშვილი დაასახელებს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას არ ჰყავს იმ დონის სპეციალისტები, ვინც დაარწმუნებდა პრეზიდენტს, რომ მაგალითად, ბეტონს აუცილებლად გაშრობა სჭირდება და თუ არ გაშრა, შენობა ვერ აშენდება?

— ასეთი სპეციალისტები არ ჰყავთ, შეუძლიათ, ჰყავდეთ, მაგრამ არ ჰყავთ. არა მხოლოდ ამ საქმეში, ასეთი დამოკიდებულება აქვთ ყველაფრის მიმართ და არც ერთ დარგში სპეციალისტი არ ჰყავთ, მართავენ იმ ადამიანების მეშვეობით, ვისაც ამ თემებთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ყველა მიმართულებით ასეა და იმიტომაც ხდება ის, რაც ხდება.

მშენებლობა და არქიტექტურა ისეთი სფეროებია, როდესაც ნაკლის გამოვლინება მოგვიანებით ხდება ხოლმე. ეს ის შემთხვევაა (ქუთაისის პარლამენტი), როდესაც ნაკლი უცებ გამოვლინდა, სხვა შემთხვევებში ეს უფრო გვიან ჩნდება ხოლმე.

არ შეიძლება, ადამიანი მუდმივად ასეთი საშიშროების რეჟიმში ცხოვროდეს, ეს წარმოუდგენელია. ძალიან ძნელია ასე უსაფლაციოდ ილაპარაკო თუნდაც დარღვევებით მიმდინარე მშენებლობაზე და ვიხრები იქით, რომ პარლამენტის შენობის ჩამონგრევა დაჩქარებული ვადების ბრალია. ასეთი ეჭვები ჩნდება თუნდაც იმიტომ, რომ ამ შენობასთან ახლოს არავის უშვებენ.

— სხვათა შორის, შენობის გახსნისას თვითონ სააკაშვილმაც იწინასწარმეტყველა, შეიძლება სახურავიდან წყალი ჩამოვიდეს ან ქარმა მოგლიჯოს სახურავი, მაგრამ ვინც საქმეს არ აკეთებს, იმას მსგავსი რამ არ ემართებაო. თუმცა ნაჩქარევი მშენებლობა იმაზე სავალალო შედეგით დასრულდა, ვიდრე სააკაშვილი ვარაუდობდა, მისივე კომენტარებიდან ირკვევა, რომ მან იცოდა, შესაძლებელი იყო, მშენებლობის ასეთი ტემპების გამო, რაღაც საფრთხე შექმნილიყო ...

— მაინც მგონია, რომ სააკაშვილი იმ ტიპის მმართველია, რომელთანაც ცოტა ძნელია კამათი და, ალბათ, შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხოლმე ეს უსიამოვნო მომენტები აიცილონ. კი ეტყოდნენ სააკაშვილს, რომ რაღაც საფრთხე არსებობდა, მაგრამ ბოლომდე ვერ აუხსნიდნენ.

ეს მოხდა არა აშენებულ, არამედ დაუმთავრებელ შენობაში. პარლამენტის გახსნაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რადგან მაშინაც შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც ახლა მოხდა. რეალურად რა მოხდა, ჩვენ კიდევ არ ვიცით, ამიტომ წინასწარ პროგნოზირებას გამიჭირდება.

— ასეთ შემთხვევაში რამდენად გამართლებულია, რომ ჩამონგრეულ შენობასთან ახლოს არავის უშვებენ?

— როდესაც უცხოეთში ხდება მსგავსი რამ, მხედველობაში მაქვს მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეული შენობები, იმიტომ არ უშვებენ ახლოს ადამიანებს, რომ საშიშროება არ არის ბოლომდე მოხსნილი. ახლა არ ვიცი, ამ შემთხვევაში რა ხდება.

— რამდენადაც ცნობილია, ასეთ უპასუხისმგებლო მშენებლობებს თავად კანონმდებლობა აძლევს სტიმულს, კი თქვა სააკაშვილმა დროა მშენებლების კვალიფიკაციას მივხედოთო, მაგრამ თავად კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული რა ნორმის დარღვევაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი...

— როდესაც ქვეყანაში მშენებლობის ნორმა და სტანდარტი არ არსებობს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს სტანდარტი თავის თავში უსაფრთხოების სტანდარტსაც მოიცავს. უბრალოდ, ეს შემთხვევა პარლამენტის მშენებლობისას მოხდა და ამიტომ გახმაურდა, თორემ მშენებლობებზე მცირე რაოდენობის ხალხი არ იღუპება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაახლოებით 50 ადამიანია მშენებლობაზე გარდაცვლილი. შარშან თუ შარშანწინ „რაკიინის“ შენობის (სადაც ახლა არის განთავსებულიძ, მთლიანი ერთი სართული ჩამოიშალა. ასეთი რამ ყოველთვის მოხდება, როდესაც ასეთი ტემპით აშენებინებ. წარმოუდგენელია, მშენებელი, მუშა, სამუშაოთა მწარმოებელი, არქიტექტორი, ყველა გულის ხეთქვით აკეთებდეს ყველაფერს. ასეთ შემთხვევაში რისკიც დიდია, რომ შეცდომა დაუშვა. ეს სფერო ასეთ ჩარევებს ვერ იტანს.

როდესაც ასხამ ბეტონის ფილას, მას ერთი თვე ხელი არ უნდა ახლო და ის უნდა გაშრეს. ეს წერია ამ ნორმებში.

— როდესაც ევროკავშირისკენ სწრაფვაზეა ლაპარაკი, რამდენადაც ცნობილია, სამშენებლო სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისობაზეც არის საუბარი და ეს ყველაფერი რამდენად აისახება კანონმდებლობაში, ალბათ, ამაზე საუბარიც ზედმეტია...

— ევროკავშირი გლობალური თემაა და ამას თავი დავანებოთ. ავიღოთ, უფრო მარტივი, თავისუფალი ვაჭრობის თემა აშშ-სთან და ევროპასთან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოს მიმართ გარკვეული კეთილგანწყობის გამოხატვაა. როდესაც ასეთი ურთიერთობები ყალიბდება, ნებისმიერი ქვეყანა ილებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს ის ნორმები, რაც საყოველთაოდ აღიარებული და მისაღებია. იმასაც კი აქვს მნიშვნელობა, ქარხანაში საპირფარეშო რამდენი მეტრით უნდა იყოს დაშორებული სამუშაო ადგილთან, მუშები დღეში რამდენჯერ იკვებებიან და რითი იკვებებიან. ეს არის გაწერილი კანონმდებლობაში თავიდან ბოლომდე და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი სწრაფვა გაუგებრად მეჩვენება ხოლმე. მართალია, ჩვენს პროდუქციაზე დაბეგვრის შედარებით მარტივი სისტემები ამოქმედდება, მაგრამ მეორე თემაა, რომ ვალდებულებებიც არსებობს და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ ვალდებულებების შემსრულებლები არ ვართ.

ასევეა ევრონორმები მშენებლობაში. დღეს საქართველოში ევრონორმებზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან ჯერ ძალაქის მერიას უნდა ჰქონდეს მიწისქვეშა კომუნიკაციების ძსელი ევრონორმებით გაკეთებული, რომ შემდეგ მშენებელს მოსთხოვოს ევრონორმებით შენობების აშენება.

საქართველოსთვის წარმოუდგენელი რამ არის, რომ მშენებლობის ევრონორმები შემოიღო. საბჭოთა კავშირის მოტრფიალე არასდროს არ ვყოფილვარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ნორმების არარსებობას, სჯობდა, საბჭოთა ნორმები მაინც დაეტოვებინათ, იმიტომ, რომ სჯობს, ცუდი ნორმა გქონდეს, ვიდრე საერთოდ არ გაგაჩნდეს მშენებლობის ნორმები.

— სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემების მიუხედავად, სააკაშვილის საამაყო თემა არის მშენებლობა და ის ტემპები, რასაც ქვეყანამ ამ სფეროში მიაღწია. თუ ეს ყველაფერი უნორმოდ და უსტანდარტოდ კეთდება, საბოლოო შედეგი რა შეიძლება იყოს?

— დიახ, მახსოვს რომ თქვა, ჩინეთზე უფრო სწრაფად ვაშენებთო. საბოლოო შედეგი იქნება ის, რა შედეგიც ახლა მივიღეთ, მუდმივად ვიდგებთ ასეთი პრობლემების, ჩამოშლისა და ტრაგედიების წინაშე.

მარიამ თოდაძე

◎ ინფორმაცია

„კონსტიტუციონალიზმის ცენტრს“ ქალაქ-ქალაქ დაატარებენ

ავთანდილ დემეტრაშვილის „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ ისევ თბილისში გადმოდის.

ცვლილება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებაში შევიდა, რომელიც საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა.

ცენტრი ჩამოყალიბების დღიდან ქ. ბათუმში, მელაშვილის ქ.№26-ში მდებარეობს.

მინისტრის ბრძანებით კი, ცენტრი თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, №89/24-ში პირველი სექტემბრიდან გადმოვა.

ამხავთანდილ დემეტრაშვილის ცენტრის დედაქალაქში გადმოსვლის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა. არსებული ინფორმაციით, დემეტრაშვილს ჯერ უთხრეს, რომ სამუშაოდ თბილისში უნდა გადმოსულიყო, რადგან მისთვის უკვე გამოყოფილი იყო კონკრეტული შენობა. თუმცა მას შემდეგ, რაც ის გადმოსასვლელად მოემზადა, დემეტრაშვილს აცნობეს, რომ შენობა სხვა უწყებისთვის „დასჭირდათ“ და დედაქალაქში სამუშაოდ გადმოსვლას, ჯერჯერობით ვეღარ შეძლებდა.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი მილიარდერი 90 მილიონი დოლარით დააჯარიმეს

სასამართლომ თბილისში ოპოზიციური კოალიციის ლიდერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი 91 მილიონი დოლარით დააჯარიმა.

უზარმაზარი ჯარიმები დაეკისრა მას ორი საქმის განხილვის დროს. სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება იყო საქართველოს კონტროლის პალატის მიმართვის შედეგი.

თავდაპირველად ივანიშვილი დააჯარიმეს დაახლოებით 126, 2 მილიონი ლარით „უკანონო შეწირულობისთვის“ მისი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, რაც გამოიხატა „ათობით ათასი სათანამგზავრო ანტენების გაცემით ამომრჩევლებისთვის მასობრივი წესით და უფასოდ“, კომპანია გლობალ კონტაქტ კონსალტინგის მიერ („გლობალ-TV“ ძ.

ამის შემდეგ მილიარდერი უმალვე დააჯარიმეს კიდევ დაახლოებით 22,5 მილიონი ლარით „ტრანსპორტით პრაქტიკულად უსასყიდლოდ მომსახურებისთვის“ პარტიის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მიერ.

ივანიშვილის ადვოკატები სასამართლოს ორივე გადაწყვეტილებას მიიჩნევენ პოლიტიკურად მოტივირებულად და აცხადებენ, რომ აპირებენ მის გასაჩივრებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს 48 საათის განმავლობაში.

„ანგენები საჩუქრად“

თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილების თანახმად, პირველი ჯარიმის თანხა ივანიშვილის მხრიდან „უკანონო შეწირულობათა“ ათი მოცულობის ტოლია, ვინაიდან იგი ამგვარი დარღვევისთვის უკვე დაჯარიმებული იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, როდესაც არიგებდა ანტენებს, ივანიშვილი პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და განზრახული ჰქონდა გვერდი აევლო კანონმდებლობის მიერ დადგენილი შეზღუდვებისთვის.

ამას გარდა, სასამართლოს იგივე დადგენილების თანახმად, კომპანია ელიტა ბურჯის მიერ დარეგისტრირებული 28 ავტომანქანა ემსახურებოდა „გლობალ-TV“-ს „იმ ფასით, რომელიც იყო საბაზროზე დაბლა შეღავათიანი პირობებით“.

მეორე ჯარიმა, დაახლოებით 14 მილიონი დოლარის ოდენობით, ასევე მიესაჯა ადმინისტრაციული დარღვევების ოქმის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იყო საქართველოს კონტროლის პალატის საფინანსო მონიტორინგის სამსახურის მიერ.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ივანიშვილმა 239 ავტომობილი რეგისტრაციაში გაატარა თავის ორ კომპანიაზე – „ბურჯზე“ და „ელიტა ბურჯზე“, – რომლებიც „ფაქტობრივად უსასყიდლოდ“ ემსახურებოდნენ მის პოლიტიკურ პარტიას.

ამით, როგორც სასამართლომ მიიჩნია, მილიარდერი ახორციელებდა უკანონო შეწირულობას პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ.

პოლიტიკური გადაწყვეტილება

ივანიშვილის ადვოკატი ალექსანდრე ბარამიძე ამბობს, რომ კომპანია „გლობალ-TV“-ს მიერ მოსახლეობისთვის სათანამგზავრო ანტენების მიცემა შედიოდა კომპანიის სამარკეტინგო გეგმაში და მას არაფერი საერთო არ ჰქონია ივანიშვილის პოლიტიკურ მიზნებთან.

„გლობალ-TV“, რომლის თანამფლობელიც ბიძინა ივანიშვილის ძმაა, – ეს არის საკაბელო და სათანამგზავრო ოპერატორი, მან დაამუშავა გარკვეული სამარკეტინგო გეგმა, რომელიც გულისხმობს ინვესტირებას სათანამგზავრო ანტენების მონტაჟის საშუალებით და შედეგად, ათი წლის პერსპექტივაში, მოგების მიღებას ინვესტიციებიდან, – ამბობს ბარამიძე. – ეს არის მათი პროექტი, რომელიც „გლობალ-TV“-მ განახორციელა საკუთარი საკრედიტო რესურსების ანგარიშზე“.

ადვოკატების სიტყვებით, კომპანიები „ბურჯი“ და „ელიტ ბურჯი“ არ ეკუთვნიან ივანიშვილს და იგი არ არის არც ერთი ამ კომპანიის თანამფლობელი.

ივანიშვილის ადვოკატები აპირებენ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ, ბარამიძის სიტყვებით, იმედები იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლო შეცვლის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პრაქტიკულად არ არსებობს.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სააპელაციო სასამართლო ძალაში დატოვებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა გავიაროთ ეს ეტაპი, რათა მომავალში ეს გადაწყვეტილება გავასაჩივროთ სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში“, – ამბობს ბარამიძე.

BBC RUSSIAN.com

P. S. ეს უცხოური ცნობა აშკარად მოძველებულია, ბიძინა ივანიშვილს, ცხადია, ისეთი სისწრაფით არ უშოვია მილიარდები, რა სისწრაფითაც ხელისუფლება აჯარიმებს თუ აყაჩაღებს. ჯარიმამ ჯერჯერობით უკვე 150 მილიონი შეადგინა.

◎ კონფლიქტის ზონა

პოლიტიკოსები იმუქრებიან, სროლა გრძელდება

(მეოთხე გვერდიდან)

აზერბაიჯანის გენერალური შტაბი კი განმარტავს: „აზერბაიჯანის ჯარს შეუძლია თავისი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები 10 დღეში დაიბრუნოს და სამხრეთი ირანის საზღვრამდე მიაღწიოს. ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ამ ნაბიჯისგან ჯერჯეროგით თავს ვიკავებთ, არის ის, რომ სისხლისღვრა და მსხვერპლი აღარ გვინდა“.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დღეს გავლებული ფაქტობრივი სასაზღვრო ზოლის „გადახედვის“ პერსპექტივა იკითხება აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის ადმინისტრაციის პოლიტიკური ანალიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ელნურ ასლანოვის განცხადებაშიც: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ დღეს არსებული სტატუს-კვო, რეგიონისთვის მიუღებელი ფორმულაა. იმდენად, რამდენადაც სტატუს-კვოს შენარჩუნება შეუძლებელს გახდის რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას. სომხეთი სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს მოლაპარაკებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონში უსაფრთხოებით და სტაბილურობით არ არის დაინტერესებული“.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო, რომლის შედეგად სომხეთმა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის 20% დაიკავა. ომი 6 წელი გაგრძელდა. 1994 წელს ეუთოს მინსკის ჯგუფის ეგიდით მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება მიაღწიეს.

ეს შეთანხმება სომხური მხარის ხელთ არსებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ერთადერთი დოკუმენტია, რომელზე დაყრდნობითაც იგი აზერბაიჯანელთათვის სრულიად მიუღებელი „სტატუს-კვოს“ სამართლებრივ მხარდაჭერას ახორციელებს.

სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი აზერბაიჯანის მხრიდან სწორედ ამ შეთანხმების დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას. „თუ ეს პროვოკაციები უშუალოდ აზერბაიჯანის მთავრობის დავალებით ხდება, მაშინ მას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დარღვევის გამო ეკისრება პასუხისმგებლობა. ჩვენ არ გვინდა სიტუაციის გამწვავება, მაგრამ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ მოქმედებას უპასუხოდ არ დავტოვებთ“, – აცხადებს სომხეთის პრეზიდენტი.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებული დავის დიპლომატიური გზით გადაწყვეტის შესაძლებლობები დღეისათვის ჩიხშია შესული. წარუმატებელი მოლაპარაკებების ფონზე ორივე მხარე აქტიურად იარაღდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაპირისპირებული მხარეების მიერ გაკეთებული რიხიანი განცხადებების უკან, მათი „დიდი“ მეზობლები და სტრატეგიული პარტნიორები დგანან, ეს ყოველივე ამიერკავკასიაში დამყარებულ ისედაც ძლიერ მყიფე სტაბილურობას, კიდევ უფრო მეტი საფრთხის ქვეშ აყენებს.

2010 წელს ერევანში ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას. ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, სომხეთში გიუმრის რუსული სამხედრო ბაზა 2044 წლამდე გააგრძელებს ფუნქციონირებას. სანაცვლოდ, რუსეთის ფედერაციასა და სომხეთს შორის გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს. ეს კი ნიშნავს, რომ ძალას, რომელიც სომხეთის საზღვრებზე შეტევას განახორციელებს, სომხურთან ერთად, გიუმრიში დისლოცირებული რუსული სამხედრო შენაერთებიც დაუპირისპირდებიან.

მნიშვნელოვანი სამხედრო დანიშნულების მქონე ობიექტი რუსეთის ფედერაციას აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც აქვს. ესაა გაბალაში მდებარე რადარი „დარიალი“, რომლით სარგებლობის ვადა რუსებს რანდენიმე თვეში ეწურებათ. რადარი რუსეთის ანტისარაკეტო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი საშუალებით თითქმის მთელ სამხრეთ ნახევარსფეროს აკონტროლებს და აფრიკიდან დაწყებული, ჩინეთის ჩათვლით, ყველა მფრინავ ობიექტს ხედავს. იჯარის გაგრძელებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანს თავისი პოზიცია აქვს. მან წლიური გადასახადის სახით რუსებს 300 მილიონი დოლარი მოსთხოვა. რუსეთს ასევე აშფოთებს ისიც, რომ სადგურის დაკარგვის შემთხვევაში, იქ ამერიკელები ან თურქები შევლენ.

მეორე მხრივ, პროცესში აქტიურადაა ჩართული თურქეთი. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე და, ზოგადად, კავკასიაში მშვიდობის დამყარების თაობაზე თურქეთის პოზიციაზე ისაუბრა თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ: „კავკასიაში მშვიდობა აუცილებლად აღდგება. თურქეთი აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაციისგან გასათავისუფლებლად ყველაფერს აკეთებს. ასევე, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კავკასიაში სიტუაცია სტაბილური იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, ნაწილი კი, უცნობი“, – ეს განცხადება თურქეთის პრეზიდენტმა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სროლის განახლებიდან 4 დღეში, 8 ივნისს გააკეთა.

არსებული ვითარების ფონზე განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ტრაპზონში შემდგარმა თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ და იქ გაფორმებულმა დეკლარაციამ, რომელიც ამ სამ ქვეყანას შორის არსებულ ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ფორმატი ამ საკითხზე მსჯელობას არ ითვალისწინებდა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის თემასაც შეეხო: „ჩვენ შეშფოთებული ვართ ბოლო დროს აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი დაძაბულობით. დაგვამწუხრა აზერბაიჯანელი ჯარისკაცების დალუპვამაც. მინსკის ჯგუფმა ყველაფერი გააკეთა პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ სომხურმა მხარემ არ გამოიჩინა ამისათვის საკმარისი მონდომება. ახლად შექმნილი სამწევრიანი მექანიზმი კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. ეს არანაირად არ ნიშნავს სხვა ქვეყნების იზოლირებას, პირიქით, რეგიონში თანამშრომლობას ისახავს მიზნად“.

დავით შალიკაშვილი

დედამიწის ზურგზე

ნორვეგიელმა ფსიქიატრმა ბრეივიკი შეადარა ქასიჭამიას ტრილერიდან – „ქრავთა დუმილი“

33 წლის ანდერს ბრეივიკი თავდაპირველად მიჩნეული იქნა შეურაცხადად, მაგრამ ახლა ექიმებმა შეცვალეს თავიანთი აზრი საპირისპიროზე. ერთ-ერთმა ფსიქიატრმა იგი ცივსისხლიან მკვლელს შეადარა ჰოლივუდის საშინელებათა ფილმიდან მანიაკების შესახებ, მისმა კოლეგამ კი მაგალითად დაასახელა ჰოლოკოსტის ბოროტებანი, რომლებიც გონიერმა ხალხმა განახორციელა.

* * *

„ფემინებმა“ „შიშველი ომი“ მოაწყვეს ევრო-2012-ის წინაღმდეგ. მათ პოლონელმა მეძავებმა უპასუხეს

ფემინისტებმა განავითარეს უნახავი აქტიურობა. თავდაპირველად ცეცხლსაქრობებით თავს დაესხნენ ფანატებს სტადიონის მახლობლად ვარშავაში, შემდეგ მოაწყვეს აქცია ჰამბურგში „წითელი შადრევნების“ კვარტალში, სამშაბათს ღამით კი შეეცადნენ შეელწიათ სტადიონზე კიევში. „ფემინები“ ბრალს სდებენ ევრო 2012-ის ორგანიზატორებს პროსტიტუციის წახალისებაში.

* * *

აშშ-ს სახელმწიფოს წარმომადგენელი მიემგზავრება მოსკოვს, რათა განიხილოს ჩხრეკვები ოპოზიციონერების ბინებში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში თანაშემწის მოადგილის ტომ მელიას ვიზიტი დაგეგმილია 13-14 ივლისისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები ღრმად შეშფოთებულია რუსი ოპოზიციონერების დევნის გამო, რომელიც დაკავშირებულია 12 ივნისისთვის დაგეგმილ დემონსტრაციასთან, განაცხადეს ამერიკის საგარეოპოლიტიკურ უწყებაში.

* * *

ავღანეთში ორი მიწისძვრისა და მეწყერის მსხვერპლი დაახლოებით 100 კაცია

გაეროს მონაცემებით, სახლები ხუთ რაიონში დაინგრა. მცდელობანი აღმოაჩინონ ცოცხლები ნიადაგისა და ქვების ქვეშ, რომლებმაც დაფარეს საცხოვრებელი სახლები მეწყერის შედეგად, ჯერჯერობით ნაყოფს არ იძლევა. სამძებრო-გადასარჩენი სამუშაოებისთვის „საჭიროა ბულდოზერები და სხვა მძიმე ტექნიკა“, განაცხადეს პოლიციაში.

წარსული აშენებს მომავალს...

დავით სარაჯიშვილი

„დაკრძალეს როგორც მეფე, ამოთხარეს როგორც მონა, მიაბარეს ძაშუეთის მიწას როგორც წმიდანი!“

მადლიერი შთამომავლების ხსოვნა

როცა ეს სტრიქონები წავიკითხე, გაოცებული დავრჩი მათი სილრმითა და გამოხატველობით. ეს სიტყვები გუჯა გუბუტეიშვილმა წარმოთქვა „დიდი დავითის“ – დავით სარაჯიშვილის გადმოსვენების ცერემონიასთან დაკავშირებით. დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს და უდიდესი პატივით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, საყოველთაო გლოვის ატმოსფეროში. 1938 წელს მისი საფლავი გარგარეს ხელის უფლების მონა-მორჩილმა მსახურებმა – „კაპიტალისტის ადგილი არ არის პანთეონში“, და ცხედარი წაიღეს ვაკის სასაფლაოზე, სადაც ხელმეორედ დაასაფლავეს – ხრამში. და აი 1995 წელს სწორედ გუჯა გუბუტეიშვილი გახდა დავით სარაჯიშვილის ცხედრის ძაშუეთის წმინდა მიწაზე გადმოსვენების ძირითადი ინიციატორი. ამ საზეიმო ცერემონიამ თითქოს ხელახლა დაუგრუნა მისთვის კუთვნილი უკვდავი ადგილი დავით სარაჯიშვილს მადლიერი შთამომავლების ხსოვნაში.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც საქართველოში კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიით სამრეწველო წარმოების ფუძემდებლის დავით სარაჯიშვილის სახლი და ღვინის მარანი გამოცხადდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. ამასთან ერთად იყო დავალებაც ამ ობიექტების მონაცემები ერთი თვის განმავლობაში გამოქვეყნდეს სამინისტროს საიტზე. მართალია, საიტზე ეს მე ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ამ ინფორმაციამ დავით სარაჯიშვილის პიროვნებისადმი ახალი ინტერესი გამიჩინა. და მე წავედი საინფორმაციო საზოგადოება „სარაჯიშვილში“.

გურმანების სასმელი

ჩვენ ვსვამდით ჩაის უშაქრო, თუმცა ვსაუბროდით ქართულ კონიაკზე.

საინფორმაციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ ადმინისტრაციული შენობის მეოთხე სართული მუზეუმს ჰგავს. ძველებური ინტერიერის დეტალები, სურათები, საგნები, რომლებიც დაკავშირებულია დავით სარაჯიშვილთან... ეს ყოველივე სიყვარულითა და მადლი გემოვნებით შეაგროვა საინფორმაციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ გენერალურმა დირექტორმა და აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელმა გუჯა გუბუტეიშვილმა. მას ახასიათებს მოკლე და მრავლისმოცველი განსაზღვრებები. **„ჩვენი კონიაკი ბერდება, მაშასადამე, ძვირდება“,** – თქვა მან მრავალმნიშვნელოვნად.

საწარმოს არსებობის წლებში აქ შეკრიბეს 500 ათასი დეკალიტრი მრავალწლიანი საკონიაკე სპირტისა და კუპაჟირებული კონიაკის კოლექცია. არის 1893 წლის ნიმუშები – კოლექციის შეკრებას სათავე დაუდო დავით სარაჯიშვილმა. ის განთავსებულია 16 ათას მუხის კასრში.

– მატულობს გაყიდვა, – მარწმუნებს გენერალური დირექტორი, – დღეს „Sarajishyili“– ეს კარგად ნაცნობი ბრენდია. თანაც ჩვენს ქვეყანას ადრე არ იცნობდნენ ისე კარგად, როგორც დღეს. ესეც გვეხმარება მეწარმეებს. ქართული კონიაკის ხარისხი, რასაკვირველია, დიდ როლს ასრულებს. მთელი საიდუმლოება ისაა, რომ ჩვენი გლეხი დიდი რაოდენობის ყურძენს არ აწარმოებს ქიმიური სასუქებითა და ყოველგვარი სხვა დანამატით. ამიტომ საბოლოო პროდუქტი მეტად მაღალი ხარისხისაა. ასე რომ, ქართულ კონიაკს საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. განსაკუთრებით საქართველოში ჩამოსული ტურისტების ოდენობის ზრდის პირობებში.

იზრდება ექსპორტიც. სხვათა შორის, ამჟამად ჩვენი კონიაკები წარმოდგენილია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების – „დიუტი ფრის“ სისტემაში, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საქართველოს სახელმეწიფო საზღვრის პერიმეტრზე. კონიაკები „სარაჯიშვილი“ იწარმოება მრავალწლიანი, 50 და მეტი წლის სპირტებისგან, ისინი გათვლილია მცოდნეებზე, კოლექციონერებსა და ფაქიზ მოყვარულებზე, გურმანებზე.

ამ ტრადიციას საფუძველი დავით სარაჯიშვილმა დაუდო. თავის დროზე მისი ხელმძღვანელობით გულდასმით შეისწავლეს საქართველოს რაიონების ნიადაგი, განისაზღვრა სპეციალური მიკროზონები და შეირჩა ყურძნის განსაკუთრებული ჯიშები, რომლებიც მაღალი ხარისხის საკონიაკე ღვინომასალებს იძლევიან. ასევე შეირჩა საუკეთესო ჯიშის ქართული მუხა, რომლისგანაც ამზადებდნენ კასრებს საკონიაკე სპირტის დასაძველებლად.

ბრენდის ქარიზმა

გუჯა ბუბუტეიშვილი ამ საწარმოში 1995 წელს მოვიდა. მაშინ საწარმო თავს წარმოგვიდგენდა, როგორც სავაჭრო-საწარმოო ფირმა „ენისელი“. ამ სახელწოდებაში არ იგრძნობოდა მდიდარი ისტორია და ქარიზმა, რასაც დღეს ცნება „ბრენდი“ აყალიბებს. დავით სარაჯიშვილმა ხომ, ფილანთროპმა, საზოგადო მოღვაწემ, გერმანიის უნივერსიტეტის ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პირველმა საქართველოში, მთლიანად მაშინდელ რუსეთის იმპერიაში, დააყენა კონიაკის წარმოება სამრეწველო საფუძველზე. მთავარია, რომ მან ჩამოაყალიბა ბრენდი „Sarajishyili“.

მხოლოდ ეს სახელწოდება – უკვე ეროვნულია, ამბობს გუჯა გუბუტეიშვილი, ვისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მმართველობითი გადაწყვეტილებაც გახდა თბილისის კონიაკის ქარხნისთვის, რომელიც თავად დავით სარაჯიშვილის მიერ იყო აგებული, მისი კანონიერი სახელწოდების „სარაჯიშვილის“ დაბრუნება. როგორ შეიძლება დაივიწყო ის ისტორია, ამბობს იგი, რომ დავით სარაჯიშვილმა, რომელმაც თბილისში პირველი კონიაკის ქარხანა ააშენა, ბიძგი მისცა ამგვარი საწარმოების გახსნას – ყიზლარში (1889 წელიძ, ერევანში (1894ძ, კალარაშში (კიშინიოვის მახლობლად, 1895ძ, ბაქოში (1896ძ და სხვაგან.

იმ დროს ცნობილი არ იყო ამჟამინდელი ბიზნეს-ლექსიკონი, მაგრამ დავით სარაჯიშვილმა – ამაშია მისი გამჭრიახობა და დიდი მრეწველის ნიჭი – პრაქტიკაში წარმატებით განახორციელა ის, რასაც დღეს ცენტრალური საწარმოს „შვილეულს“, მარკეტინგს, დისტრიბუციას ვუწოდებთ. ყოველივე ამან ჩამოაყალიბა უნიკალური ბრენდი „სარაჯიშვილი“, რომლის წყალობითაც ქართული კონიაკი დღეს ცნობილია შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა – ამბობს გუჯა გუბუტეიშვილი.

იხ. 11 გვ.

◎ ალიარება

ანსამბლი „შავლეგო“ სცენას იპყრობს

მსოფლიოში იშვიათია ერი, რომელსაც ქორეოგრაფიაში ისე კარგად ჰქონდეს თავისი რაობა წარმოჩენილი, როგორც ქართველ ხალხს... ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 8 ივნისს პროფკავშირების კულტურის ცენტრში ანსამბლ „შავლეგოს“ ორგანყოფილებიან კონცერტზე.

ქართული ცეკვის ანსამბლი „შავლეგო“ დაარსდა 1976 წელს ქ.თბილისში, №139 საჯარო სკოლის ბაზაზე მალხაზ ბოხუას ხელმძღვანელობით. მალხაზ ბოხუას ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს სათავეში მისი მამა ჩაუდგა, შემდეგ კი მან საქმე შვილიშვილს **დავით ბოხუას** გადააბარა, რომელიც უკვე 15 წელია წარმატებით განაგრძობს ოჯახის ტრადიციას.

შექმნის დღიდან ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს კულტურულ ღონისძიებებში როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. თუმცა განებივრებული არ არიან ხშირი გასტროლებით, წელიწადში ერთხელ მაინც ახერხებენ საზღვარგარეთ გასვლას. ანსამბლმა მოიპოვა ფოლკლორული ფესტივალებისა და კონკურსების არაერთი პრიზი და სიგელი, სხვადასხვა დროს იმოგზაურა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, საბერძნეთში, იტალიაში, თურქეთში, ჩეხეთში, ავსტრიაში, სლოვაკეთში, უკრაინაში და სხვა. 2011 წელს ქ.პრაღაში მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში ევროპის 12 ქვეყნის მხარდამხარ და პირველი ადგილი და კონცერტის გრანპრი აიღეს საუკეთესო შესრულებისთვის. ანსამბლის ყოველი გამოსვლა ფრიად წარმატებულია.

სამწუხაროდ, ანსამბლ „შავლეგოს“ დაფინანსება არ აქვს, რადგან დღეს მხოლოდ სახელმწიფო ანსამბლები ფინანსდება და ბავშვთა ანსამბლებისთვის ვერ იცლიან. ანსამბლ „შავლეგოს“ ძირითადად მშობლები აფინანსებენ. და მაინც ანსამბლის რეპერტუარი ძალიან მდიდარია.

მეტ წარმატებებს ვუსურვებთ „შავლეგოს“ ...

ნინო ლაბარტყავა,
ეკა ბარდანაშვილი.



◎ „ევრო – 2012“

...და ნაკვალევს „შევა“ შლის

როგორ „უყვართ“ ერთმანეთი ინგლისელებს და ფრანგებს, ისტორია გვიამბობს. ასწლიან ომზე რომ არაფერი ვთქვათ, ლამანშის ნაპირებს აქეთ და იქით განვითარებული შედარებით ნაკლებად ტრაგიკული მოვლენებიც ადასტურებს მათ ჭირვეულ მეზობლობასა და ამპარტავნობაში გადაზრდილ უკიდეგანო ამბიციურობას.

საუკუნეთა სრგოლამ და გადემოკრატიულეგულმა თანაგაში ფრანგ ლეგიონერთა უსაშველო მოზღვავეგა ჰქვია, ეს კი, გნეგავთ თუ არა, ძალაუნეგურად გამოძახილს ეროვნულ ნაკრეგთა შეხვედრეგის სიუჟეტეგზე ჰპოვეგს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დონეცკის „დონგას არენაზე“ გამართულ „ევრო – 2012“-ის ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩს დავასახელეგთ, რომლის

მედროვეობამ, ასე თუ ისე, დაათგო ამ ორი თვითმყოფადი ერის ურთიერთობა, რაც სპორტულ ცხოვრეგაზეც აისახა. სხვაგვარად ძნელია შეფასდეს ის ფაქტი, რასაც პრემიერლიდასკვნითი ნახევარი საათიც საფინალო სასტვენის მოლოდინში გაილია.

მანამდე კი ერთ დროს პრინციპულ მეტოქეთა გრძოლაში ტერიტორიულ უპირატესობას ლი შეხვედრეგის რიცხვი, ზედმეტად ფრთხილი თამაშის მოყვარული რეი ხოჯსონი კი კმაყოფილი უნდა იყოს, რამდენიმე ლიდერის გარეშე დასუსტეგული მისი შეგირდეგი პლეი-ოფში გასვლის შანსს რომ ინარჩუნეგენ.

კიდევ უფრო შანსიანად გახსნა ტურნირი თანამასპინძელმა უკრაინამ, რომელმაც უგერეგელი შევჩენკოს „დუგლით“ ყველასათვის კერკეტი კაკლეგი – შვედეგი გატეხა – 2:1. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიელეგი ადამიანმაგოლმა იგრაჰიმოვიჩმა დაანინაურა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის წინ გამოქვეყნეგულ ხახოლთა სავარაუდო შემადგენლოგაში „შევას“ გვარი არ ფიგურირეგდა, მაგრამ ოლეგ გლოხინმა გადაწყვეტილეგა უკანასკნელ მომენტში შეცვალა, თავის „ჯოკერს“ ნდოგა გამოუცხადა და, როგორც ვხედავთ, არც შემცდარა.

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

პრესტიჟის ქულა

საქართველოსა და აზერბაიჯანის საჭადრაკო ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრის ბოლო მატჩში მასპინძლებმა ნანატრი გამარჯვება იზეიმეს. ქართველმა მოჭადრაკეებმა მეტოქეს 3:2 სძლიეს და საბოლოო ანგარიშის შელამაზება მოახერხეს – 10.5:14.5.

დასკვნით დღეს 4 პარტია ყაიმით დასრულდა, გადამწყვეტი ქულა კი გუნდს აქამდე წარუმატებლად მოასპარეზე კოკა შანავამ (2589ძ მოუტანა, რომელმაც თეთრი ფიგურეგით ვასიფ დურარგეილი (2579ძ დაამარცხა.

საქართველო – აზერბაიჯანი 10.5:14.5

მე-5 ტური – 3:2

ლევან ფანცულაია (2581ძ – ელტაჟ საფარლი (2620ძ 0.5:0.5
რაუფ მამედოვი (2628ძ – მერაგ გაგუნაშვილი (2570ძ 0.5:0.5
კონსტანტინე შანავა (2589ძ – ვასიფ დურალგეილი (2579ძ 1:0
გადირ ჰუსეინოვი (2609ძ – გაადურ ჯოგავა (2721ძ 0.5:0.5
მიხეილ მჭედლიშვილი (2656ძ – შაჰრიარ მამედიაროვი (2726ძ 0.5:0.5.

საერთო ტექნიკური შედეგები

1. შაჰრიარ მამედიაროვი (2726ძ – 4 ქულა
2. რაუფ მამედოვი (2628ძ – 3.5 ქულა
3. ვასიფ დურალგეილი (2579ძ – 3 ქულა
4. ლევან ფანცულაია (2581ძ – 2.5 ქულა
5. გადირ ჰუსეინოვი (2609ძ – 2.5 ქულა
6. ელტაჟ საფარლი (2620ძ – 2.5 ქულა
7. მერაგ გაგუნაშვილი (2570ძ – 2.5 ქულა
8. მიხეილ მჭედლიშვილი (2656ძ – 2 ქულა
9. გაადურ ჯოგავა (2721ძ – 1.5 ქულა
10. კონსტანტინე შანავა (2589ძ – 1 ქულა.

◎ ფრენგურთი

საერთაშორისო ტურნირი ჩაიშალა

ივნისში, ბოლნისში, ვაჟებსა და ქალებს შორის ფრენგურთში საერთაშორისო ტურნირი უნდა გამართულიყო, თუმცა უცხოური გუნდების გამოუცხადებლობის გამო, შეჯიბრება ჩაიშალა. საქართველოს ფრენგურთის ფედერაციაში განაცხადეს, რომ ერთადერთი, რაც მათ ხსენეგულ ტურნირზე ევალეგოდათ, კალენდრის შედგენა იყო, ამიტომ უცხოელი მონაწილეეგის არჩამოსვლის მიზეზი უცნოგია.

◎ ინტერნეტიდან

ნადალი „როლან გაროსის“ გამარჯვებული

საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე თანამედროვეობის ორი დიდი ჩოგბურთელის რაფაელ ნადალისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის შეხვედრა კვირას დაიწყო, მაგრამ მეოთხე სეტზე წვიმის გამო შეწყდა და ორშაბათს დასრულდა. ამჟამად რეიტინგით მეორე ჩოგბურთელმა ნადალმა სძლია ამჟამინდელ პირველ ჩოგბურთელს ჯოკოვიჩს – 6:4, 6:3, 2:6, 7:5. ამით ნადალმა ამ დიდმნიშვნელოვან ტურნირზე მეშვიდედ გაიმარჯვა და ხელი შეუშალა ჯოკოვიჩს ზედიზედ „დიდი მუზარადის“ მეოთხე ტურნირის მოგებაში. ესპანელმა კი თავისი რეკორდი დაამყარა საფრანგეთის ჩემპიონატებზე გამარჯვებათა რაოდენობით, რითაც გადაასწრო შვედ ბიორნ ბორგს, რომელსაც აქ საუკეთესო იყო ექვსჯერ.

დამარცხეგის მიუხედავად, ჯოკოვიჩმა შეინარჩუნა პლანეტის პირველი ჩოგანოსნის ტიტული. ამავე დროს ჯოკოვიჩს 27-ე გამარჯვეგაზე შეუწყდა „დიდი მუზარადის“ ტურნირეგზე როდ ლეივერის 29 გამარჯვეგამდე დევნა, რაც მან ზედიზედ 1967-1970 წლეგში მოიპოვა.

ისტორიაში პირველად

კლუბმა „ლოს-ანჟელეს კინგსმა“ თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა ეროვნული ჰოკეის ლიგის მთავარი ჯილდო – სტენლის თასი, დაამარცხა რა თავის ყინულის მოედანზე პლეი-ოფის ფინალურ სერიაში „ნიუჯერსი დევილზი“ ანგარიშით 6:1.

ლოს-ანჟელესში ამ გამარჯვეგას 46 წელი ელოდენენ. 1966 წელს დაარსეგული კლუგისთვის საუკეთესო შედეგი იყო 1992-1993 წლეგში სტენლის თასისსავე ფინალი, სადაც „კინგსი“ მეხუთედ დამარცხდა „მონრეალ კანადიენსთან“.

ამ გამარჯვეგამ ანგელოზეგის ქალაქის გულშემატკივართა დიდი აღფრთოვანეგა გამოიწვია.. ვერც ჩხუბი და აყალმაყალი აიცილეს თავიდან. დააპატიმრეს 10-მდე წესრიგის დამრღვევი, ერთი კი ჰოსპიტალშიც მოხვდა.

ოლიმპიადას ვერ ნახავენ?

მწვანე კონტინენტის – ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეროვნული ოლიმპიური გუნდის ორი მოცურავის ნიკ დარსისა და კენრიკ მონკის დასჯა, რადგან მათ ამ დღეებში Facebook-ის სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს ფოტოსურათები, რომლებზეც ისინი ისვრიან ცეცხლმსროლელი იარაღიდან, თანაც ამით პოზიორობენ. ოლიმპიურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი ფოტოსურათეგის გამოქვეყნეგა ძალადოგის პროპაგანდაა და გადაწყვიტა, რომ ორივე მოცურავე შეიძლეგა წავიდეს ამ ზაფხულს ოლიმპიურ თამაშეგზე ლონდონში, გამოვიდნენ თავიანთ დისციპლინეგში, მაგრამ გამოსვლის დამთავრეგისთანავე უნდა დაგრუნდნენ სამშოგლოში. იმის გამო, რომ ოლიმპიადაზე შეჯიბრეგეგი ცურვაში ტრადიციულად ზაფხულის ოლიმპიადის პირველ დღეეგში ტარდეგა, ეს მოცურავეეგი პრაქტიკულად გამოტოვეგენ მთელ თამაშეგს. ოლიმპიური კომიტეტის ამ გადაწყვეტილეგამ მწვავე უკმაყოფილეგა გამოიწვია, დასჯილი მოცურავეეგის თანაგუნდელეგში, რადგან თურმე ადრე ისინი ერთად დადიოდნენ სასროლეთში და ასეთი რამ აკრძალული არ ყოფილა.

წარსული აშენებს მომავალს...

(მეცხრე გვერდიდან)

სად იყო მაშინ „კოკა-კოლა“?

გუჯა გუგუტეიშვილი და მე ადმინისტრაციული შენობის ლიფტით ვეშვებით. ლიფტის კაბინაში გაკრულია ძველი სარეკლამო ფურცლების ნიმუშები, რომლებიც დავით სარაჯიშვილის წარმოებას ეკუთვნოდა. ისინი ლაკონური, ლამაზი, ინფორმაციულია. უფრო ადრე ჩვენ დიდხანს ვიდექით ერთ-ერთ ასეთ ფურცელთან – ის ახლა გუჯა გუგუტეიშვილის ოფისის კედელზეა გამოკრული. სალებავების უზარალოდ კოსმოსური გამომსახველობისაა.

– ეს – ორიგინალია, – ამბობს ბატონი გუჯა. – ფირნიში ერთ ახალგაზრდა კაცთან შევიძინე, რომელიც თბილისში თავის ბინას არემონტებდა. ფირნიშს იყენებდა კვამლსადენის დასაკეტად. მივმართე სპეციალისტებს, ფირნიში გერმანიასა და ჩინეთშიც კი წავიღე. ვერავინ ამოიცნო რეცეპტურა ამ სალებავებისა, რომელიც მცენარეული ნედლეულისგან არის დამზადებული.

დავით სარაჯიშვილი, სანამ კონიაკის წარმოებას დაიწყებდა, 17 წლის განმავლობაში ცოდნასა და გამოცდილებას იძენდა ევროპაში, სწავლობდა რუსეთის იმპერიის ბაზარს. მაშინ რუსეთში ძირითადად ფრანგულ კონიაკს სვამდნენ. დავით სარაჯიშვილმა დაიძირავა, როგორც დღეს იტყოდნენ, გამოცდილი „პიარშჩიკი“. მაშინ სიტყვა „პიარიც“ გვერმა არ იცოდა, მაგრამ სარაჯიშვილმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაუყარა თავისი პროდუქციის რეკლამირებასა და წინ წაწევას იმპერიის გაზარზე, რისთვისაც ზოგჯერ ამ მიზნისთვის იყენებდა არასტანდარტულ იდეებს. „პიარშჩიკმა“ სარაჯიშვილმა დაიძირავა ლამაზი ქალები, რომლებსაც კავალერები მოსვენებას არ აძლევდნენ. ისინი ეკითხებოდნენ ვილმა არ იცოდა რა იყო!“ – სიამაყით ამბობს გუჯა გუგუტეიშვილი.

როგორ გავხდეთ მილიონერი

ცნობილი მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი სკულპტურული კომპოზიციის ავტორია. მწერალი გიზო ნიშნიანიძე კრებულის „დავით სარაჯიშვილის“ რედაქტორ-შემდგენელი იყო. ეს არის დიდი მრეწველისა და მეცენატის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უნიკალური ენციკლოპედია. გიორგი გეგეჭკორის ნახატზე არიან ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ხოშტარია, დავით სარაჯიშვილი. ლიტერატურისა და ხელოვნების ეს და სხვა ნაწარმოებები გუჯა გუგუტეიშვილის უშუალო მხარდაჭერითაა შექმნილი.

დამაინტერესა, რა ამოძრავებდა მას?

– წარსული აშენებს მომავალს, – მიპასუხა ბატონმა გუჯამ, როგორც ყოველთვის, მოკლედ. – მინდა, რომ შთამომავლებმა არ დაკარგონ საქართველოს ამ დიდი პატრიოტის ხსოვნა. დავით სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ხოშტარია – ქართული მრეწველობისა და ბიზნესის პიონერები იყვნენ. ისინი მეტად სერიოზულად და დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, რადგან ძალიან უყვარდათ თავიანთი სამშობლო. ისინი ახალგაზრდებისთვის ნიმუშებად უნდა დარჩნენ.

„ვცდილობ, ხელი შევუწყო იმას, რომ ახალგაზრდობამ დავით სარაჯიშვილის მაგალითზე ისწავლოს, თუ როგორ „გახდეს მილიონერი“, – უმატებს იგი იუმორით.

მეცენატის ანდერძი

აკაკი წერეთელს ეკითხებოდნენ: „როგორ ბრძანდებით, ბატონო აკაკი?“ დიდი პოეტი იუმორით უპასუხებდა: „გაიგეთ, როგორაა დათიკო და მიხვდებით, როგორა ვარ მე!“ დავით სარაჯიშვილი არა მხოლოდ აკაკი წერეთელს ეხმარებოდა, გევრი ქართველი ლიტერატორი, მხატვარი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, მომავალი მეცნიერი, იმედის მომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდობის წარმომადგენელი მისი გულუხვი ქველმოქმედების არეალში იმყოფებოდა. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა, შვილებითა და შვილიშვილებით, რომლებიც ალზარდა და რომლებმაც განათლება დავით სარაჯიშვილის წყალობით მიიღეს, სავსე იქნება საქართველო. გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი არტურ ლაისტი ალნიშნავდა, რომ დავით სარაჯიშვილი იყო პოეტების, მეცნიერებისა და მხატვრების მეგობარი არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ გერლინშიც, სადაც ყველაზე გამოჩენილი ადამიანების პატივისცემითა და გულითადი მეგობრობით სარგებლობდა.

გუჯა გუგუტეიშვილი შემახსენებს, რომ დავით სარაჯიშვილის გევრი თანამედროვე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მის ანდერძს უწოდებდნენ იშვიათს თავისი პატრიოტული შინაარსით, დანიშნულებითა და მიმართულებით. მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა 300 ათასი მანეთი, უძრავი ქონება თბილისში, რაც 400 ათას მანეთად იყო შეფასებული, – ქალაქს, 150 ათასი – მუზეუმებს, ამდენივე მანეთი – სემინარიებსა და გალერეებს, ათობით სტუდენტი მის სტიპენდიას ღებულობდა... თანამედროვეებს განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა, რომ დავით სარაჯიშვილმა 150 ათასი მანეთი უანდერძა იმ მუშებსა და სპეციალისტებს, ვინც მასთან ერთად შექმნა მისი სამრეწველო იმპერია.

გუჯა გუგუტეიშვილი

ერთ-ერთი შენაწირი – 30 ათასი მანეთი – გათვალისწინებული იყო ვლადიკავკაზის სკოლის მოსწავლეებისთვის ღარიბი ოჯახებიდან. ფრჩხილებში ხაზგასმით იყო მითითებული – „ეროვნების მიუხედავად“. როგორი სამოქალაქო პოზიციაა! ის ასახავს, ამბობს გუჯა გუგუტეიშვილი, ქართული საზოგადოების ზნეობრიობისა და ტოლერანტობის დონეს...

– დავით სარაჯიშვილი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. ეს უნდა იწვევდეს ღრმა პატივისცემას მისადმი, მისი ხსოვნისადმი. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მე, როგორც ქვეყნის მოქალაქე, მაქსიმალურად ვცდილობდი და ვცდილობ მივაგო მას თავისი. საქართველოს საზოგადოებრიობა, მთელი ქვეყანა თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს მის ხსოვნას. მეც, ჩემი მხრიდან, ყოველნაირად ვუწყობ ამას ხელს, – ასე წარმოაჩენს თავის პოზიციას გუჯა გუგუტეიშვილი.

დავით სარაჯიშვილის ანდერძში, შემახსენებს გატონი გუჯა, ნათქვამია, რომ მის სახლში (ეს ყოფილი სერგიევსკის, დღეს მაჩაბლის ქუჩაზეაქ, რომელიც ცნობილია, როგორც მწერალთა სახლი, უნდა განთავსდეს სამხატვრო გალერეა და მრეწველობის მუზეუმი – „ნორჩი თაობის განვითარებისთვის“. არ უნდა შესრულდეს განა დიდი დავით სარაჯიშვილის ანდერძი?!

დასასრულ, გუჯა გუგუტეიშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დავით სარაჯიშვილი გევრს ნიშნავს საქართველოსთვის, ის იმსახურებს იმას, რომ მასზე წერდნენ კარგად და მაღალ დონეზე. როგორ არ უნდა დაეთანხმო?!

გაბრიელ ნამთალაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

◎ ინფორმაცია

„პირველმა სტერეომ“ და „სტერეო+“-მა ყველა კლიენტი დაკარგა

ტელეკომპანია „პირველი სტერეოსა“ და „სტერეო+“-ის დამფუძნებლის, დავით ზილფიმიანის განცხადებით, კომპანიებმა ყველა კლიენტი დაკარგეს.

„ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს მიერ დაარსებული ტელეკომპანიების პარალიზება და ოკუპაცია მოხდა. ექვსი წლის განმავლობაში აწყობილი ბიზნესი, რომლითაც მრავალი არხის მომსახურება ხდებოდა, უხეში ძალის ჩარევით შეწყდა და დღეს უკვე სახეზეა კომპანიის ფაქტიური არარსებობა“, – განცხადა ჟურნალისტებთან დავით ზილფიმიანმა.

მისივე განცხადებით, მის საკუთრებასათან ერთად უცხოელი მოქალაქეების საკუთრების ხელყოფაც მოხდა, რადგან „პირველი სტერეოს“ მეწილეები უცხოეთის მოქალაქეებიც არიან.

ალაზანში 12 წლის ბიჭი დაიხრჩო

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში, მდინარე ალაზანში 12 წლის ბიჭი დაიხრჩო. უბედური შემთხვევა ორშაბათ სალამოს მოხდა.

12 წლის მოზარდი თანატოლებთან ერთად მდინარეზე საბანაოდ იყო წასული. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ის მოულოდნელად წყალმა წაიღო. ბავშვებმა დასახმარებლად სოფლის მცხოვრებლებს დაუძახეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მოზარდის ცხედარი სოფლიდან დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით იპოვეს.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 29 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ **№32 (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფარავანის ტერიტორიაზე „ფარავნის“ პერლიტის გამოვლინება)** ობიექტზე აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განცხადება შემოვიდა 2012 წლის 12 ივნისს, აუქციონი გაიმართება ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში ა/წ 15 ივნისს 12 საათიდან. აღნიშნულ ობიექტზე განცხადებების მიღება შეწყდება აუქციონის გამართვის წინა სამუშაო დღეს.

შვილი რუსიკო ინწკირველი, შვილიშვილები გიორგი, თამაზ ინწკირველები, რძლები ლელა ნინუა, ირინა კეიდია, ნინჩო გაჩეჩილაძე, ძმა მურთაზ ყიფიანი, რძალი დოდო ჯავახიშვილი, მძახლები სვეტა ნინუა, ირა, ბესო კეიდიები, რუსიკო, გიორგი გაჩეჩილაძეები, დეიდაშვილები თამაზ, გურამ კალანდაძეები, მანანა შენგელაია, ირინა კოპალეიშვილი, მურმან გაბისონია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ინა ყიფიანი-ინწკირველი

პანაშვიდი 12, 13 VI, 18 სთ. გამოსვენება 14 VI, 15 სთ. მისამართი: თარხნიშვილის ქ. №14.

მაყვალა უდუმაშვილი, ირინა გიგინეიშვილი, თამაზ, გურამ კალანდაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, დეიდაშვილი

ინა ყიფიანი-ინწკირველი

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ რუსუდან, ლელა ინწკირველებს დედის

ინა ოთარის ასულ ყიფიანი-ინწკირველის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის მსახიობი

ერემია სვანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „თერგი 1“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კახა დევის ძე ბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ დევი ბერიძეს შვილის გარდაცვალების გამო.

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კახა დევის ძე ბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ დევი ბერიძეს შვილის გარდაცვალების გამო.

◎ ჩვენი კარაბადინი

ჰიპოტონიკები

ამ დაავადების ადამიანებისა არ შეგშურდება. ჰიპოტონიკები (დაბალი არტერიული წნევის ადამიანები) ამინდის ნებისმიერ ვარდნებს გრძნობენ ნებისმიერ ბარომეტრზე უკეთესად.

გაზრდილი აგზნებადობა, განგაშის გრძნობა, მგრძნობელობა სიცივისადმი, ტრანსპორტში ნჯღრევები და გულისწასვლა — მათი ცხოვრების ერთი წამებაა. თუ შეიძლება, რომ დავეხმაროთ მათ? სპეციალისტებს მიაჩნიათ: შეიძლება, თუ გვეცოლდინება, თუ რა იწვევს ჰიპოტონიის განვითარების პროვოცირებას.

ზიანი

არანაირი ფიზიკური აქტივობა. კუნთების მოქმედების მოცულობის შემცირება იწვევს გულის ფუნქციონალური მდგომარეობის კუნთების აპარატის ტონუსის გაუარესებას, ამცირებს ფილტვების ვენტილაციას, მინერალური და ცილოვანი ცვლის დარღვევას, რაც გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე.

გამოსავალი: ადეკვატური ფიზიკური დატვირთვა. ჰიპოტონიკებზე კარგ ეფექტს ახდენს ცურვა, სირბილი, აერობიკა.

მუშაობა მავნე წარმოებაში. არტერიული ჰიპოტენზიის განვითარებას ხელს უწყობს: მუშაობა მიწის ძვეშ, გაზრდილი ტენიანობისა და ტემპერატურის, იონიზირებული რადიაციის მცირე დოზების ხანგრძლივი რადიაციის, მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის, ძიმური ნივთიერებების ინტოქსიკაციის პირობებში.

გამოსავალი: თუ არტერიული ჰიპოტენზია გამოწვეულია პროფესიული მავნებლობით, უმჯობესია გადავიდეთ სხვა საშუშაოზე.

დაავადებანი. ჰიპოტენზიის პროვოკატორებს განეკუთვნება ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების, გულსისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის, სასუნთქი ორგანოების ზოგიერთი დაავადება, აგრეთვე თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, ანემიები. მწვავე არტერიული ჰიპოტონია შეიძლება განვითარდეს აგრეთვე სისხლის დიდი დანაკარგის, მოწამვლის, სითბური დარტყმის დროს.

გამოსავალი: იმ დაავადების მკურნალობას, რომელიც გამოწვეულია არტერიული წნევის დაწევით, მივყავართ მის ნორმალიზაციასთან.

წამლების მიღება. ჰიპოტონია შეიძლება განვითარდეს იმ მედიკამენტების არასწორი გამოყენებით (ნეიროლეპტიკების, განგლიო და ადრენობლოკატორების, ნიტრიტებისა და ნიტრატებისძ, რომლებიც დაბლა სწევენ არტერიულ წნევას.

გამოსავალი: არ უნდა დავიწყოთ ჰიპერტონიის თვითმკურნალობა. გულის შეტევების დროს ნიტრატები მივიღოთ მხოლოდ ჯდომის დროს: ფეხზე დგომის დროს არტერიული წნევის მკვეთრმა დაწევამ შეიძლება სტატისტიკურ კოლაფსთან (გონების დაკარგვაძ მიგვიყვანოს.

სარგებელი

რეჟიმის ნორმალიზაცია და სრულფასოვანი ძილი. ძილის 8-10 საათი — ყველა ჰიპოტონიკისთვის აუცილებელია. საიდუმლოება როდია, რომ ძილი ორგანიზმში ბიორიტმების ძირითადი სინქრონიზატორი, ვეგეტატური ნერვული სისტემის პარასიმპათიური და სიმპათიური განყოფილებების ფუნქციური აქტივობის სტიმულატორია. და, რასაკვირველია, ჰიპოტონიკებისთვის გამოწერილია დღის სრულფასოვანი რეჟიმი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის მონაცვლეობით.

დიეტა. ჰიპოტონიკის თვითშეგრძნების გაუმჯობესებაში დაგვეხმარება სპეციალური დიეტა კალიუმის (კარტოფილი, ბადრიჯანი, კომბოსტო, ჭერამი, შავძლიავაძ და კალციუმის გაზრდილი შემადგენლობით. ამ დროს ისინი, ვისაც აწუხებს დაძვეითეგული წნევა, უნდა იკვებებოდნენ დღეში სულ ცოტა 4-ჯერ.

არტერიულ წნევას ტრადიციულ ყავასთან და ჩაისთან ერთად მაღლა სწევს ყველაფერი მარილიანი: ძაშაყი, კიტრი, კომბოსტოს წნილი. აი ალკოჰოლთან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

მასაჟი, ნემსრეფლექსოთერაპია. არტერიული ჰიპოტონიის დროს ყველაზე ეფექტიანია ყელ-კისრის ზონის, ფეხის კუნთების, ხელის მტევნების სამკურნალო მასაჟი. „დაბალი წნევის დაავადების“ სამკურნალო სხვა საშუალებაა ნემსრეფლექსოთერაპია.

გაკაჟება. ჰიპოტონიკებში კარგი შეფასება მოიპოვა ყოველდღიურმა განავამ, დაზელვამ, კონტრასტულმა შხაპმა. ამ პროცედურებს საფუძვლად უდევს მატონიზირებული გავლენა არა მხოლოდ კანის რეცეპტორულ აპარატზე, სისხლძარღვთა ტონუსზე, არამედ იმუნურ სისტემაზეც.

მცენარეული სტიმულატორები. საუბარი შეეხება გუნებრივი წარმომავლობის ეგრეთ წოდებულ ადაპტოგენებს, რომლებიც ზრდიან სისხლძარღვთა ტონუსს და არტერიულ წნევას: ელეუტეროკოკის, ჟენშენის, ლიმონიკის, არილიის ნაყენები. მაგრამ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ გადავაჭარბოთ: ზოგიერთი ჰიპოტონიკი ძალიან მგრძნობიარეა ამ პრეპარატებისადმი. მედიკამენტური საშუალებებიდან ნიშნავენ: ნოოტროპულ პრეპარატებს, ცერებროპროტექტორებს, ანტიოქსიდანტებს, ანტიდეპრესანტებს.

თვითდახმარება

ზოგიერთი ჰიპოტონიკი დღის განმავლობაში განიცდის სისუსტის, დაღლილობის, მძინარობის შეტევებს. ამ სიტუაციაში ტონუსის დაბრუნებაში გვეხმარება მარტივი ვარჯიში. დაბრძანდით სკამზე, გაშალეთ ფეხები, ხელები გადაიჯვარედინეთ თავზე. ჩაისუნთქეთ ღრმად და ნელა დაიხარეთ მუხლებისკენ. გასწორდით და მკვეთრად ამოისუნთქეთ. ვარჯიში სამჯერ გაიმეორეთ.

ეკიბ

◎ ანეკდოტები

არაბული სამყაროს ქვეყნებში ერთობ მკაცრი კანონები აქვთ:

იქ ქურდობისთვის ხელს აჭრიან, გაქცევისთვის — ფეხს.

ამიტომ იქ გაუპატიურებაზე არც კი ფიქრობს ვინმე.

* * *

პაციენტი ექიმთან ჩივის, მარჯვენა ყურში არაფერი მესმისო.

ექიმმა იგი გასინჯა და სპეციალური სამარჯვებით ყურიდან ამოუდო სამედიცინო სანთელი, რომელიც პაციენტს აჩვენა.

— უი, თქვენ კი გაიხარეთ, ექიმო! ახლა უკვე ვიცი, სად უნდა ვეძებო ჩემი სასმენი აპარატი.

* * *

გადავწყვიტე, მშობლებს დავეხმარო: მივიღე შხაპი, თმა დავივარცხნე, მანიკური და მაკიაჟი გავიკეთე, ახალი კაბა ჩავიცვი და წავედი... მათთვის სიძის საძებნელად.

* * *

მიხო ცოლს სექსს სთავაზობს.

— თავი დამანებე, კაცო, თავი მტკივა და სამსახურშიც უამრავი პრობლემა მაქვს.

— არ გინდა და ნუ გინდა. — განაწყენდა მიხო, კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა.

გამთენიისას ცოლი აღვიძებს, თავის ტკივილმა გამიარაო.

— საყვარელო, როცა სამსახურშიც მოაგვარებ პრობლემებს, მაშინ გამაღვიძე! — მთქნარებით ეუბნება მიხო.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვიზეიმეთ

„ხელისუფლების წარმომადგენლებსა და გამგებელს, არც ერთს არ დავტოვებ ცოცხალს!..“

— იმუქრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული მდივანი გია ყრუაშვილი. ხარაგაულში ჩინელებმა უკვე პატარა გოგონების გაუპატიურება დაიწყეს და ჩემი ინფორმაციით, უკვე ორი შემთხვევა მოხდა, როცა 13 და 14 წლის გავშვები გააუპატიურეს, მე მაგათი!.. უკვე ისეა საქმე, რომ მესამე და მეოთხე კლასის გოგონებს მშობლები მიაცილებენ სკოლაში.

„ალია“.

ჩვენ დავანგრევთ სააკაშვილის და ივანიშვილის სასახლეებს

ლეიბორისტული პარტია წინასაარჩევნო სტატს ილებს და იმათ გასაგონად, ვისაც ეგონა, რომ ერთადერთი მემარცხენე ოპოზიციური ძალა საქართველოში იშლებოდა, პარტიის ლიდერი აცხადებს, „ნურას უკაცრავად, არსად წასვლას არ ვაპირებ, სანამ ორ საპრეზიდენტო ვადას არ ჩავათავებ. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში მხარდამჭერი მრავლად ეყოლება, რადგანაც საქართველოში ყველა არ იყიდება.

„ახალი თაობა“.

ხე-ტყის ჭრისა და უცხოეთში გატანის ტემპები სწრაფად იზრდება

ხე-ტყის ექსპორტი თვალდათვალ იზრდება, საქართველოდან, ძირითადად, ნახევრად დამუშავებული ხე გადის, რომელიც საბოლოო პროდუქციის სახით ისევ საქართველოში ბრუნდება. სპეციალისტების განცხადებით, ვინაიდან ხე-ტყის გიზნესში ჩინოვნიკები ან მათი ნათესავები საქმიანობენ (მერაბიშვილი, გეგენავა, სვიმონიშვილი, ფიფია, უგულავაძ, ტყის ჭრა აბსოლუტურად უკონტროლოა.

„რეზონანსი“.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24